*დანართი №2*

NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

## საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სახელწოდება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით

- "საჯარო პოლიტიკა და მმართველობა" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მეშვიდე დონე
- "ბიზნესის ადმინისტრირების აღამსრულებელი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსებში", მეშვიდე დონე
- "ბიზნესის ადმინისტრირების აღამსრულებელი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მენეჯმენტში", მეშვიდე დონე

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს ბრიტანული უნივერსიტეტი საქართველოში

შეფასების თარიღ(ებ)ი

2024 წლის 22-23 ნოემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი

2025 წლის 20 იანვარი

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს ბრიტანული უნივერსიტეტი საქართველოში |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 405365698 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | აბდულ რაუფი, ვიტენბორგის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი, ნიდერლანდები |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ეკა ლეკაშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | თეა კასრაძე, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | თამარ ბერიშვილი, სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | თამთა ცხოვრებაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ია ბუცხრიკიძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო |

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

| | პროგრამა 1 | პროგრამა 2 | პროგრამა 3 |
|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | საჯარო პოლიტიკა და მმათველობა/ Public Policy and Administration | ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსებში/ Executive Master of Business Administration in Finance | ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მენეჯმენტში/ Executive Master of Business Administration in Management |
| უმაღლესი განათლების საფეხური | დონე 7 | დონე 7 | დონე 7 |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საჯარო მმართველობის მაგისტრი/ Master of Public Administration | ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი მაგისტრი ფინანსებში/ Executive Master of Business Administration in Finance | ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი მაგისტრი მენეჯმენტში/ Executive Master of Business Administration in Management |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება | 0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა | 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[1] | | | |
| სწავლების ენა | ინგლისური | ინგლისური | ინგლისური |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 120 | 70 | 70 |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) | აკრედიტებული: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციო | ახალი | ახალი |

1 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

| | | | |
|---|---|---|---|
| შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | ს საბჭოს გადაწყვეტილება N 634515 | | |

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ[2]**

შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში წარმოადგენს სამ ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამას:

1. "საჯარო პოლიტიკა და მმართველობა" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მეშვიდე დონე;
2. "ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში", მეშვიდე დონე;
3. "ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში", მეშვიდე დონე;

ძირითადი ინფორმაცია პროგრამების შესახებ:

საჯარო პოლიტიკა და მმართველობა:
- 120 ECTS კრედიტი
- აკრედიტებული პროგრამა
- ხორციელდება 2023 აკადემიური წლიდან
- მოიცავს 90 კრედიტის მოცულობის სავალდებულო კურსებს, 30 კრედიტის მოცულობის სამაგისტრო ნაშრომს და არჩევით კურსებს.

აკრედიტაციის საბჭომ "საჯარო პოლიტიკის და მმართველობის" სამაგისტრო პროგრამას აკრედიტაცია მიანიჭა 2023 წლის 5 მაისს (გადაწყვეტილება N634515). აკრედიტაცია ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრამდე. თავდაპირველად მოთხოვნილი იყო ერთწლიანი პროგრესის ანგარიში, თუმცა აღნიშნული პირობა გაუქმდა, ვინაიდან პროგრამა დაჯგუფდა პროგრამების კლასტერში, რომელთაც უწევდათ რეაკრედიტაციის გავლა.  ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნა აღწერს პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებებს, მათ შორის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების განხორციელებას. პროგრამამ ფუნქციონირება დაიწყო 2023 - 2024 აკადემიურ წელს ორი სტუდენტის, კერძოდ ერთი ადგილობრივი და ერთი საერთაშორისო სტუდენტის ჩარიცხვით. პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები საჯარო მმართველობის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მათ შორის განახლდა სწავლის შედეგები, სწავლების მეთოდები და შეფასების მიდგომები.

"ბიზნესის ადმინისტრირების აღამსრულებელი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსებში" და "ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მენეჯმენტში":
- საკრედიტაციოდ წარმოდგენილი ორივე პროგრამა ახალია.
- თითოეული პროგრამა მოიცავს 70 ECTS კრედიტს.

[2] პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

"ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსებში" და "ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მენეჯმენტში" შემუშავდა დაინტერესებული მხარეების სრული ჩართულობით, დარგში არსებული ტენდენციების, შრომის ბაზრის მოთხოვნების და საერთაშორისო პარტნიორების მოსაზრებების გათვალისწინებით. ორივე პროგრამამ გაიარა გარე შეფასება დარგის ექსპერტების მიერ, რომელთა რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა პროგრამების საბოლოო ვერსიებში. კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების პროცესში ჩართული იყო სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგებოდა ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისგან, მათ შორის ფაკულტეტის დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელების, განმახორციელებელი პერსონალის, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წარმომადგენლების, სტუდენტების და კურსდამთავრებულების მონაწილეობით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

2024 წლის 22-23 ნოემბერს ექვსი წევრისგან შემდგარმა ექსპერტთა ჯგუფმა, რომელშიც შედიოდა სტუდენტი წარმომადგენელი, ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი და ოთხი დარგის ექსპერტი, განახორციელა აკრედიტაციის ვიზიტი შპს ბრიტანულ სასწავლო უნივერსიტეტში (საქართველო, თბილისი). ექსპერტთა ჯგუფს, რომელიც დაკომპლექტდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრის მიერ, ორდღიანი ვიზიტის განმავლობაში ახლდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი.

შეფასება ეხებოდა კლასტერში დაჯგუფებულ სამ საგანმანათლებლო პროგრამას:

1. "საჯარო პოლიტიკა და მმართველობა" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, მეშვიდე დონე
2. "ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსებში", მეშვიდე დონე
3. "ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მენეჯმენტში", მეშვიდე დონე

შეფასების პროცესი იყო ყოვლისმომცველი და მოიცავდა დოკუმენტების შესწავლას, წინამოსამზადებელ შეხვედრას და წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით სტრუქტურირებულ ადგილზე ვიზიტს. ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა გასაუბრება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. მათ ასევე დაათვალიერეს უსდ - ს გამორჩეული ინფრასტრუქტურა და რესურსები. უნივერსიტეტმა გააძლიერა თავისი აკადემიური პერსონალი "საჯარო პოლიტიკის და მმართველობის" პროგრამაში ოთხი დოქტორის ხარისხის მქონე პროფესიონალის დამატებით. "საჯარო პოლიტიკის და მმართველობის" პროგრამამ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები, მათ შორის დაემატა ახალი კურსი "საჯარო სამართალი" და არსებული კურსები განახლდა

აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე. ახალი "ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსებში" და "ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მენეჯმენტში" შემუშავდა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, შრომის ბაზრის ტენდენციების და საერთაშორისო პარტნიორების მოსაზრებების გათვალისწინებით. ვიზიტი ხასიათდებოდა თანამშრომლობითი ატმოსფეროთი და დაწესებულების მხრიდან ეფექტური მართვით ახლადაშენებულ თანამედროვე კამპუსში. ვიზიტის დასასრულს, თავმჯდომარემ, ექსპერტთა ჯგუფის სახელით, უნივერსიტეტს პროგრამებთან დაკავშირებული პირველადი მიგნებები გააცნო.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამა 1 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთოვნებთან
პროგრამა 2 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 3 - მეტწილად შესაბამისობაშა მოთხოვნებთან

### 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამა 1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 3 - შესაბამაისობაშია მოთხოვნებთან

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა 1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 3 - შესაბამაისობაშია მოთხოვნებთან

### 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

პროგრამა 1 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთოვნებთან
პროგრამა 2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 3 - შესაბამისობაშია მოთოვნებთან

### 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

პროგრამა 1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 3 - შესაბამაისობაშია მოთხოვნებთან

## კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

### კომპონენტი 1.1

- რეკომენდებულია, უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდეს თუ როგორ ითვალისწინებს პროგრამის მიზნები ინტერნაციონალიზაციას. მიზნებში უფრო კონკრეტულად უნდა იყოს გათვალისწინებული ინტერნაციონალიზაციის ასპექტები, განსაკუთრებით "ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამისთვის ფინანსებში" და "ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამისთვის მენეჯმენტში".
- რეკომენდებულია, ყველა პროგრამის მიზნებში უფრო კონკრეტულად აღიწეროს მათი წვლილი შესაბამისი დარგების და საქართველოს საზოგადოების განვითარებაში.

### კომპონენტი 1.3

- რეკომენდებულია, შპს ბრიტანულმა სასწავლო უნივერსიტეტმა საქართველოში შეიმუშავოს ცენტრალიზებული ჩარჩო სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების დადგენის, მონიტორინგის და დახვეწის მიზნით, რაც მოიცავს გარე დაინტერესებულ მხარეებთან რეგულარულ კონსულტაციებს სამივე პროგრამის ინდუსტრიასთან შესაბამისობის და გამოყენებადობის უზრუნველსაყოფად.

### კომპონენტი 2.1

- რეკომენდებულია, "პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები" წარმოდგენილი იყოს ოფიციალური მარეგულირებელი დოკუმენტის სახით.

### კომპონენტი 4.1

- რეკომენდებულია მოწვეული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა იყოს აკადემიური პერსონალის სასარგებლოდ.
- რეკომენდებულია გაიზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა.
- კურსების დაბალანსებული განაწილების უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდებულია ახალი პროფესიონალების მოზიდვა და დაქირავება .
- რეკომენდებულია დამატებითი ზომების მიღება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის გასაძლიერებლად დოქტორის ხარისხის მქონე კვალიფიციური პროფესიონალების დაქირავების გზით.

## რეკომენდაციები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 ("საჯარო პოლიტიკა და მმართველობა", სამაგისტრო პროგრამა, მეშვიდე დონე)

### კომპონენტი 1.1

- რეკომენდებულია, მკაფიოდ იყოს წარმოჩენილი, თუ როგორ უწყობს ხელს პროგრამა საჯარო პოლიტიკის და მმართველობის სფეროს განვითარებას საქართველოში და საერთაშორისო დონეზე.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს მეორე მიზანი "ხელს უწყობს რთული, მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო კომპეტენციების და უნარების განვითარებას", რათა უფრო კონკრეტულად განისაზღვროს განსავითარებელი კომპეტენციების და უნარების სახეები.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს მესამე მიზანი, რათა უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდეს თუ როგორ გარდაიქმნება ყოვლისმომცველი მსოფლმხედველობა პრაქტიკული პრობლემების გადაჭრის უნარებად.

### კომპონენტი 1.2

- რეკომენდებულია, დავიწროვდეს ორიენტაცია და დაემატოს ტექნოლოგიური კომპეტენციები პროგრამის სწავლის შედეგებში საჯარო სექტორის საჭიროებების უკეთ დაკმაყოფილების მიზნით.

### კომპონენტი 1.4

- რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის კურსებს შორის კრედიტების ერთგვაროვანი განაწილება იმისათვის, რომ სილაბუსებში კრედიტების რაოდენობა შეესაბამებოდეს საგნის სრულ დატვირთვას.
- რეკომენდებულია, სტუდენტების პრაქტიკული უნარების გაძლიერების მიზნით, პროგრამას დაემატოს პროფესიული პრაქტიკის სავალდებულო კომპონენტი მინიმუმ 5 (ECTS) კრედიტის მოცულობით.
- რეკომენდებულია, აკადემიური წერის / აკადემიური ინგლისურის კურსი გადატანილ იქნას არჩევითი საგნების კომპონენტიდან სავალდებულო საგნების კომპონენტში და სხვა სავალდებულო საგნებთან ერთად განისაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობად.
- რეკომენდებულია, საჯარო სამართლის სასწავლო კურსი გადატანალ იქნას არჩევითი კურსების კომპონენტიდან სავალდებულო კურსების კომპონენტში, ვიანიდან საქართველოს სამართლებრივ სისტემაში მოქალაქეების და საჯარო მოხელეების უფლებების, ვალდებულებების და სამართლებრივი მექანიზმების ცოდნა აუცილებელია პროგრამის კურსდამთავრებულებისთვის.

### კომპონენტი 4.2

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს სამეცნიერო ხელმძღვანელის / თანახელმძღვანელის მოთხოვნების გამჭვირვალე საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც შეესაბამება სამაგისტრო დონის მოთხოვნებს და ასახავს პროგრამის სპეციფიკას და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

**პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში", მეშვიდე დონე)**

## კომპონენტი 1.1

- რეკომენდებულია, გადაიხედოს პირველი მიზანი უფრო კონკრეტული და ზუსტი ფორმულირების ჩამოყალიბების მიზნით, სიცხადისთის შესაძლებელია მათი დაყოფა ორ ნაწილად.
- რეკომენდებულია, მიზნებში უფრო მკაფიოდ იყოს ასახული  ფინანსების დარგის და საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილი.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს  კონკრეტული მიზნის ჩამოყალიბება, რომელიც ასახავს პროგრამის ორიენტაციას თანამედროვე ფინანსურ ტექნოლოგიებთან და ინოვაციებთან დაკავშირებით, ვიანიდან აღნიშნული წარმოადგენს ფინანსების სფეროში განვითარების მთავარ მიმართულებას.

## კომპონენტი 1.2

- რეკომენდებულია, გაფართოვდეს ფინტექის თემები ბლოკჩეინის, კრიპტოვალუტების და გადაწყვეტილების მიღებაში ხელოვნური ინტელექტის გათვალისწინებით იმისათვის, რომ უკეთესად მოამზადოს კურსდამთავრებულები  თანამედროვე გამოწვევებისთვის.

## კომპონენტი 1.4

- რეკომენდებულია, სავალდებულო კურსის სახით პროგრამას დაემატოს პროფესიული პრაქტიკა სულ მცირე 5 (ECTS) კრედიტის მოცულობით, რათა შეესაბამებოდეს ფინანსების დარგობრივ მახასიათებელს (რომელიც, კვალიფიკაციის მისანიჭებლად განსაზღვრავს საჭირო სწავლის შედეგების მინიმალურ მოთხოვნებს, სწავლება - სწავლის და შეფასების მეთოდებს და სხვა არსებით მახასიათებლებს).
- რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს ახალი სავალდებულო სასწავლო კურსები, რომლებიც სტუდენტს მისცემს ფინანსური სისტემის სიღრმისეულ ცოდნას (ფინანსური ინსტიტუტები, ფინანსური რეგულაციები)  პროგრამის მიზნის და შედეგების მისაღწევად.  არჩევითი საგნების კომპონენტიდან ზოგიერთი სასწავლო კურსი შესაძლებელია გადატანილ იქნას სავალდებულო საგნების კომპონენტში (მაგალითად, კომერციული საბანკო საქმე).

## კომპონენტი 1.5

- რეკომენდებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის (თანამედროვე ფინანსების შესავალი, ფინანსური აღრიცხვა, საერთაშორისო ფინანსები და გლობალური საფინანსო ბაზრები) შინაარსის გადახედვა, რათა იგი სრულად შეესაბამებოდეს სამაგისტრო საფეხურს და სტუდენტებს შესაბამისი დონის ცოდნა და უნარები მიაწოდოს. ამ კურსების სწავლის შედეგებიც საჭიროებს გადახედვას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი შესაბამისობა სამაგისტრო საფეხურთან.
- რეკომენდებულია, სილაბუსებს დაემატოს დეტალური ინფორმაცია საბოლოო პროექტების შინაარსის შესახებ. სილაბუსებს უნდა დაემატოს ინფორმაცია პროექტის შერჩევის, სტუდენტის მიერ კონცენტრირების სფეროების, ნაშრომის ფორმატის, რეკომენდებული წყაროების მითითების, ნაშრომის სავალდებულო მოცულობის და სხვა მსგავსი საკითხების შესახებ.

**პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში", მეშვიდე დონე)**

## კომპონენტი 1.1

- რეკომენდებულია, გადაიხედოს პირველი მიზანი იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს უფრო კონკრეტულად ან სიცხადისთვის დაიყოს რამდენიმე მიზნად.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს მეორე მიზნის ფორმულირება, " თანამედროვე ადგილობრივი ან გლობალური მმართველობითი გამოწვევების გაანალიზება და გადაჭრა" იმისათვის, რომ უფრო მკაფიოდ განისაზღვროს გამოწვევების სახეები და მათი გადაჭრის გზები.
- რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს სპეციფიკური მიზანი, რომელიც ასახავს პროგრამის ორიენტაციას განავითაროს ციფრული ეპოქისთვის საჭირო ლიდერობის უნარები, ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენს თანამედროვე მენეჯმენტის განათლების მნიშვნელოვან ასპექტს და აუცილებელია ბიზნესის აღმასრულებლებისთვის.

## კომპონენტი 1.2

- რეკომენდებულია, გადაიხედოს პირველი სწავლის შედეგი, "კრიტიკულად აანალიზებს მენეჯმენტის პროცესს და პრინციპებს, როგორიცაა სტრატეგიული მენეჯმენტი, მარკეტინგის მენეჯმენტი, მიწოდების ჯაჭვის მართვა, რისკების და კრიზისების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა და სხვადასხვა ლიდერობის სტილი" იმისათვის, რომ იყოს უფრო რეალისტური და გაზომვადი.

## კომპონენტი 1.5

- რეკომენდებულია, შესაბამისობაში მოვიდეს გარკვეული სასწავლო კურსების (ლიდერობა და ორგანიზაციული დიზაინი, მარკეტინგი და ბრენდის სტრატეგია) სახელწოდებები და შინაარსი. რეკომენდებულია, გადაიხედოს აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები, იმის უზრუნველსაყოფად, რომ კურსის შინაარსი ხელს უწყობს მათ მიღწევას.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს სილაბუსებში მოცემული სავალდებულო ლიტერატურა (ლიდერობა და ორგანიზაციული დიზაინი, მარკეტინგი და ბრენდის სტრატეგია, მსოფლიო დონის ადამიანური რესურსების განვითარება) სასწავლო მასალასთან თანხვედრის უზრუნველყოფის და სილაბუსებში მითითებული თემების დაფარვის მიზნით.
- რეკომენდებულია, სილაბუსებს დაემატოს დეტალური ინფორმაცია საბოლოო პროექტების შინაარსის შესახებ. სილაბუსებს უნდა დაემატოს ინფორმაცია პროექტის შერჩევის, სტუდენტის მიერ კონცენტრირების სფეროების, ნაშრომის ფორმატის, რეკომენდებული წყაროების მითითების, ნაშრომის სავალდებულო მოცულობის და სხვა მსგავსი საკითხების შესახებ.

- **რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

## კლასტერის საერთო რჩევები:

### კომპონენტი 1.1

- მიუხედავად იმისა, რომ მიზნებში ნახსენებია ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება, სასურველია გაკეთდეს უფრო მკაფიო მითითება იმის შესახებ, თუ როგორ განხორციელდა მათი გათვალისწინება.

### კომპონენტი 1.3

- სასურველია, პერსონალისთვის შემუშავდეს სტრუქტურირებული პროფესიული განვითარების პროგრამები შეფასების მეთოდების გამოყენების სტანდარტიზაციისთვის.

### კომპონენტი 2.2

- სასურველია, გაძლიერდეს სამეცნიერო კომპონენტი, დაიგეგმოს მეტი აქტივობა და ღონისძიება მათ შორის სტუდენტების აქტიური მონაწილეობით.

### კომპონენტი 3.1

- სასურველია, უნივერსიტეტს ჰქონდეს სტუდენტური პორტალი, რომელიც სტუდენტებს მიაწოდებს უფრო დეტალურ ინფორმაციას, როგორიცაა: გამოცდების ქულები, შუალედური შეფასებები, სწავლის საფასური, სერტიფიკატის მოთხოვნა.

- სასურველია, გამოცდების ქულების გასაჩივრებისთვის სტუდენტებს მიეცეთ 2 დღეზე მეტი ვადა.

### კომპონენტი 4.2

- სასურველია, დაწესებულების შესაბამისმა სტრუქტურამ ყურადღება გაამახვილოს პერსონალის პირადი საქმეების მოწესრიგებაზე ინფორმაციის სრულად ასახვის მიზნით.

### კომპონენტი 4.4

- სასურველია, უნივერსიტეტმა მოიძიოს გზები იმისათვის, რომ უზრუნველყოს წვდომა მაღალრეიტინგულ ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე.

### კომპონენტი 4.5

- სასურველია, გადაიხედოს ბიუჯეტი პროგრამის განვითარების საჭიროებების შესაბამისად საბიუჯეტო მუხლების დაკონკრეტების მიზნით და წარმოდგენილი იყოს პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროები, როგორც პერიოდული, ასევე ერთჯერადი. (4.5)

### რჩევები პროგრამების მიხედვით:

**პროგრამა 1 ("საჯარო პოლიტიკა და მმართველობა", სამაგისტრო პროგრამა, მეშვიდე დონე)**

### კომპონენტი 1.3

- სასურველია, მეტი ყურადღება გამახვილდეს დარგის სპეციფიკურ მეტრიკებზე საჯარო პოლიტიკის და მმართველობის პროგრამაში გამოყენებითი უნარების შესაფასებლად.

**პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში", მეშვიდე დონე)**

### კომპონენტი 1.2

- გაუმჯობესების მიზნით, სასურველია პროგრამას დაემატოს ფინტექის მოდულები და მეტი პრაქტიკული სამეწარმეო სწავლება.
- საერთაშორისო ფინანსებზე სპეციალიზებული ორიენტაციას, რომელიც მოიცავს რეგულაციებს და საზღვრებსშორის მართვას, შეუძლია გააძლიეროს კურსდამთავრებულთა გლობალური კომპეტენცია. აღნიშნული დამატება პირდაპირ

დაუჭერს მხარს სწავლის შედეგებს საერთაშორისო ბაზრების შეფასების თვალსაზრისით.

### კომპონენტი 1.3

- სასურველია, ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელ ფინანსების სამაგისტრო პროგრამაში შემუშავდეს მყარი მექანიზმები შეფასების მეტრიკების ფინანსების დარგის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

**პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში", მეშვიდე დონე)**

### კომპონენტი 1.4

- იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამაზე დაიშვება ნებისმიერი სფეროს ბაკალავრის ხარისხის მქონე აპლიკანტი 5 წლიანი პროფესიული გამოცდილებით (სამუშაო სფერო არ არის განსაზღვრული), სტუდენტებმა შესაძლოა ვერ შეძლონ ზოგიერთი კურსის ათვისება. კერძოდ, "ფინანსური მენეჯმენტის და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების" სასწავლო კურსი, სტუდენტისგან წინაპირობის სახით მოითხოვს სპეციფიკურ ცოდნას, რომლის გარეშეც რთული იქნება საგნის დაძლევა. შესაბამისად, სასურველია აღნიშნული სასწავლო კურსი სავალდებულო საგნებიდან გადატანილ იქნას არჩევით კომპონენტში. სანაცვლოდ, არჩევითი კურსი "სამეწარმეო ფინანსები" გადატანილ უნდა იქნას სავალდებულო კურსების ჩამონათვალში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[3]**

  **არ ეხება**

▪ **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

ექსპერტთა ჯგუფმა საფუძვლიანად შეისწავლა უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია. არგუმენტირებული პოზიციის შეფასების საფუძველზე განხორციელდა თვითშეფასების ანგარიშის დამატებითი ანალიზი წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტების და ინფორმაციის გამოყენებით.

დამატებითი ანალიზის შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება დასკვნიდან ამოეღო 2.1 კომპონენტთან დაკავშირებული რეკომენდაციები და განაახლა შესაბამისობის სტატუსი. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ 4.2 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია უნდა დარჩეს ვალიდური და რელევანტური, ვინაიდან რეკომენდაცია

---

[3] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

გამყარებულია დოკუმენტური მტკიცებულებებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამართული დისკუსიებით და სტანდარტის კონკრეტული მოთხოვნებით. აღნიშნულ კონტექსტში ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება უსდ - ს მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას.

უნივერსიტეტმა წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია 4.2 კომპონენტში გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნულია, რომ: "ბრიტანულმა უნივერსიტეტმა წარმოადგინა დოკუმენტი სახელწოდებით "სამაგისტრო ნაშრომის / პროექტის სახელმძღვანელო", რომელშიც ნათლად არის გაწერილი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად: სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ბრიტანული უნივერსიტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალის წარმომადგენელი, რომელიც დარგის სპეციფიკის და განვითარების გათვალისწინებით ფლობს უახლეს ცოდნას, აქტიურად მონაწილეობს სამეცნიერო კვლევებში და აქვს გამოქვეყნებული აკადემიური ნაშრომები, რომლებიც შეესაბამება ნაშრომის ზოგად თემატიკას და მიმართულებას". ექსპერტთა ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ორი დოკუმენტი: "სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულების სახელმძღვანელო და ტექნიკური მახასიათებლები" და "სამაგისტრო პროექტის შესრულების სახელმძღვანელო". არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ. შესაბამისად, აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია შეენარჩუნებინა აღნიშნული რეკომენდაცია.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შპს ბიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში "საჯარო პოლიტიკის და მმართველობის" სამაგისტრო პროგრამის რეაკრედიტაციის პროცესმა გამოავლინა მნიშვნელოვანი პროგრესი და მიღწევები 2023 წლის მაისში განხორციელებული პირველადი აკრედიტაციის შემდეგ. წარმოდგენილი 120 კრედიტიანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აჩვენებს მყარ ვალდებულებას აკადემიური ხარისხის გაუმჯობესების, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირზე რეაგირების მიმართ.

ძირითადი მიღწევები და პროგრესი:

1. პროგრამის გადახედვა და შესაბამისობაში მოყვანა:

- საჯარო მმართველობის დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით სრულად გადაიხედა სასწავლო გეგმა.
- რელევანტურობის და სიზუსტის უზრუნველყოფის მიზნით გაანალიზდა და დაიხვეწა სწავლის შედეგები, სწავლების მეთოდოლოგიები და შეფასების პრაქტიკა.

2. აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების განხორციელება:

- პროგრამას დაემატა ახალი კურსი "საჯარო სამართალი", რომელიც აერთიანებს შედარებით კონსტიტუციურ და ადმინისტრაციული სამართლის თემებს.

- სრულად იქნა გათვალისწინებული რეკომენდაციები "პოლიტიკის დოკუმენტების წერის" და "პოლიტიკის დაგეგმვის და რისკების მართვის" კურსების გაერთიანების შესახებ, რამაც გააუმჯობესა სასწავლო გეგმის კავშირი.
- ძირითად კურსებში გამრავალფეროვნდა სასწავლო ლიტერატურა, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების წვდომას განახლებულ და რელევანტურ რესურსებზე.

3. დაინტერესებული მხარეების მიერ ინიცირებული გაუმჯობესებები:

- შიდა ხარისხის მექანიზმებმა ხელი შეუწყო დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს, რამაც გამოიწვია სავალდებულო ლიტერატურის და კურსის დიზაინის განახლება.
- დოქტორის ხარისხის მქონე პროფესიონალების დანიშვნით გაძლიერდა აკადემიური პერსონალის შემადგენლობა, რამაც კიდევ უფრო აამაღლა პროგრამის ხარისხი.

ზოგადად, პროგრამამ მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს აკადემიური ჩარჩოს გაუმჯობესების, აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტთან შესაბამისობის და უწყვეტი გაუმჯობესების ძალისხმევაში უკუკავშირის გათვალისწინების მიმართულებით.

კლასტერში დაჯგუფებული შემდეგი ორი პროგრამა ახალია და პირველად არის წარდგენილი აკრედიტაციისთვის:

1. "ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსებში", მეშვიდე დონე;
2. "ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მენეჯმენტში", მეშვიდე დონე.

**აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:**

**აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:**

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება[4]
2. კლასტერული შეფასება[5]

| სტანდარტი / კომპონენტი | შეფასების მიდგომები: |
|---|---|

[4] **შეფასების მიდგომები**: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

[5] **შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

| | |
|---|---|
| **1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა** | |
| 1.1. პროგრამის მიზნები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | კლასტერული |
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| **2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** | |
| 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | კლასტერული |
| 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები | კლასტერული |
| 2.4. სტუდენტის შეფასება | კლასტერული |
| **3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა** | |
| 3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | კლასტერული |
| 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | კლასტერული |
| **4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა** | |
| 4.1. ადამიანური რესურსები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | კლასტერული |
| 4.4. მატერიალური რესურსი | კლასტერული და ინდივიდუალური |

| | |
|---|---|
| 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | კლასტერული და ინდივიდუალური |
| **5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები** | |
| 5.1. შიდა ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.2. გარე ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | კლასტერული |

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

შპს ბრიტანული უნივერსიტეტი საქართველოში წარმოადგენს სამ სამაგისტრო პროგრამას: "საჯარო პოლიტიკის და მმართველობის" სამაგისტრო პროგრამა, "ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში" და "ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში". წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, პროგრამები ზოგადად შეესაბამება 1.1 კომპონენტის მოთხოვნებს პროგრამის მიზნებთან დაკავშირებით. თუმცა, არის რამდენიმე სფერო, რომელიც საჭიროებს გაუმჯობესებას. სამივე პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია და ითვალისწინებს თავიანთი შესაბამისი სფეროების სპეციფიკას. მათი მიზანია კურსდამთავრებულებში განავითაროს შესაბამისი ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, ორიენტაცია კეთდება ხელმძღვანელობაზე, გადაწყვეტილების მიღებაზე და ეთიკურ საკითხებზე. მიზნებში ასახულია უნივერსიტეტის მისია წვლილი შეიტანოს მომავალი ხელმძღვანელების განათლებაში და საზოგადოების ტრანსფორმაციაში.

პროგრამებში გათვალისწინებულია ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნები. შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ისინი მოიცავენ დაინტერესებული მხარეების, მათ შორის დამსაქმებლების, სტუდენტების და დარგის ექსპერტების წვლილს.

საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის და დარგის ექსპერტების მიერ კოლეგიალური შეფასების გამოყენება ასევე ხელს უწყობს გლობალურ ტენდენციებთან პროგრამების შესაბამისობას. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს ეცნობა, რომ პროგრამის მიზნები საჯაროდ ხელმისაწვდომია და გაზიარებულია პროგრამებში ჩართული ყველა პირის მიერ, როგორც ამას მოითხოვს 1.1. კომპონენტი. თუმცა, ყველა დაინტერესებული მხარის ეფექტური ჩართულობის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია გარკვეული დამატებითი ძალისხმევის განხორციელება. აღნიშნული ხაზგასმულია ქვემოთ წარმოდგენილ პროგრამებთან დაკავშირებულ ანალიზში. ზოგადად, მიზნები შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ ბიზნესის ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებს.

სამივე პროგრამა ძირითადად შეესაბამება 1.1 კომპონენტის მოთხოვნებს. ისინი ითვალისწინებენ თავიანთი შესაბამისი სფეროების სპეციფიკას, ასახავენ განსავითარებელ ცოდნას და უნარებს და შეესაბამებიან უნივერსიტეტის მისიას. თუმცა, ყველა პროგრამისთვის შეიძლება სასარგებლო იყოს:

- უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდეს, თუ როგორ ხდება ინტერნაციონალიზაციის საკითხების გადაწყვეტა, განსაკუთრებით პროგრამის შინაარსის, პედაგოგიური და დიდაქტიკური მიდგომების თვალსაზრისით.
- მეტი ინფორმაციის წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ არის გაზიარებული და გააზრებული მიზნები პროგრამებში ჩართული ყველა პირის მიერ.

#### პროგრამა 1 ("საჯარო პოლიტიკა და მმართველობა", სამაგისტრო პროგრამა, მეშვიდე დონე)

"საჯარო პოლიტიკის და მმართველობის" სამაგისტრო პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შეესაბამება დარგის სპეციფიკას. ისინი მიზნად ისახავენ აღჭურვონ სტუდენტები დემოკრატიული ინსტიტუტების სიღრმისეული გაგებით, განავითარონ მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციები და ჩამოაყალიბონ ეთიკურ ღირებულებებზე დაფუძნებული მსოფლმხედველობა.

მიზნები ასახავს ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს, რომელთა განვითარებასაც პროგრამა ისახავს მიზნად, მათ შორის ხელმძღვანელობა საჯარო ინტერესებში, რთული გადაწყვეტილებების მიღება და ეფექტური კომუნიკაცია. თუმცა, შეიძლება უფრო მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული დარგის და საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილი. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას მომავალი ხელმძღვანელების განათლებაში და საზოგადოების ტრანსფორმაციაში წვლილის შეტანის შესახებ. ისინი ითვალისწინებენ ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რაც

დასტურდება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით და პროგრამის განვითარებაში საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებით.

მიუხედავად იმისა, რომ მიზნები ზოგადად კარგად არის ფორმულირებული, შესაძლებელია გაუმჯობესდეს ზოგიერთი სფერო:

- მეორე მიზანი, "რთული, მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო კომპეტენციების და უნარების განვითარება", შეიძლება იძლეოდეს უფრო კონკრეტულ მითითებას განსავითარებელი კომპეტენციების და უნარების სახეების შესახებ.
- შესაძლებელია შეიცვალოს მესამე მიზნის ფორმულირება იმისათვის, რომ უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდეს, თუ როგორ გარდაიქმნება ყოვლისმომცველი მსოფლმხედველობა პრაქტიკული პრობლემების გადაჭრის უნარებად.

**პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში", მეშვიდე დონე)**

ზოგადად, "ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამის ფინანსებში" მიზნები მკაფიოდაა განსაზღვრული და ასახავს კურსდამთავრებულებისგან მოსალოდნელ ძირითად კომპეტენციებს. ისინი მიზნად ისახავენ ფინანსურ დისციპლინებში თეორიული ცოდნის გაღრმავებას, პრაქტიკული უნარების განვითარებას და სტუდენტების აღჭურვას პროფესიული ეთიკის მაღალი სტანდარტებით. მიზნები ითვალისწინებენ ფინანსების სფეროს და ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო დონის სპეციფიკას, ორიენტირებულია ისეთ სფეროებზე, როგორიცაა ფინანსური სისტემები, ბაზრები, სტრატეგიები და ტექნოლოგიები. ისინი ასახავენ ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს, რომელთა განვითარებასაც ისახავს მიზნად პროგრამა, მათ შორის ანალიტიკურ უნარებს და ფინანსების სფეროში თანამედროვე გამოწვევების გადაჭრის უნარს.

პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ღირებულებებს, რომელიც ხაზს უსვამს მაღალ აკადემიურ ხარისხს და კრიტიკულ აზროვნებას. ისინი ითვალისწინებენ როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებს, რაც დასტურდება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით და პარტნიორი ინსტიტუტების ხედვების გამოყენებით.

თუმცა, შესაძლებელია ზოგიერთი მიზნის გაუმჯობესება:

- სიცხადისთვის შეიძლება ორ ნაწილად გაიყოს პირველი მიზანი, ვინაიდან ის საკმაოდ ვრცელია და ფართოდ მოიცავს ბევრ ასპექტს.
- მიზნებში შეიძლება უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდეს ფინანსების სფეროს და საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანა.
- მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას კონკრეტული მიზნის ჩამოყალიბება, რომელიც შეეხება თანამედროვე ფინანსურ ტექნოლოგიებზე და ინოვაციებზე

პროგრამის ორიენტაციას, ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენს ფინანსების დარგში განვითარების მთავარ სფეროს.

**პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში", მეშვიდე დონე)**

"ბიზნესის ადმინისტრირების აღამსრულებელი სამაგისტრო პროგრამის მენეჯმენტში" მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და ასახავს კურსდამთავრებულებისგან მოსალოდნელ კომპეტენციებს. ისინი მიზნად ისახავენ მენეჯმენტის დარგებში თეორიული ცოდნის გაღრმავებას, პრაქტიკული უნარების განვითარებას და პროფესიული ეთიკის მაღალი სტანდარტების დანერგვას. მიზნები ითვალისწინებენ მენეჯმენტის სფეროს და ბიზნესის ადინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო დონის სპეციფიკას, მოიცავენ ისეთ სფეროებს, როგორიცაა ხელმძღვანელობა, სტრატეგიული მენეჯმენტი და ბიზნესის სხვადასხვა ფუნქციური სფეროები. ისინი ასახავენ ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს, რომელთა განვითარებასაც ისახავს მიზნად პროგრამა, მათ შორის უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით თანამედროვე მმართველობითი გამოწვევების გადაჭრის უნარს.

პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ითვალისწინებს როგორც ადგილობრივი, ისე გლობალური ბაზრის მოთხოვნებს. თუმცა, შესაძლებელია ზოგიერთი მიზნის გაუმჯობესება:

- პირველი მიზანი ზედმეტად გრძელია და მოიცავს ბევრ ასპექტს და სიცხადისთვის შეიძლება გახდეს უფრო კონკრეტული ან დაიყოს რამდენიმე მიზნად.
- მეორე მიზნის ფორმულირება, "თანამედროვე ადგილობრივი ან გლობალური მმართველობითი გამოწვევების ანალიზი და გადაჭრა", შეიძლება ასახავდეს უფრო კონკრეტულ ინფორმაციას გამოწვევების სახეების და მათი გადაჭრის გზების შესახებ.
- საჭიროა დაემატოს კონკრეტული მიზანი, რომელიც შეეხება პროგრამის ორიენტაციას ციფრული ეპოქისთვის ხელმძღვანელობის უნარების განვითარებასთან დაკავშირებით, ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენს თანამედროვე მენეჯმენტის განათლების მნიშვნელოვან ასპექტს, რომელიც აუცილებელია ბიზნეს ხელმძღვანელებისთვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში;
- ექსპერტთა ჯგუფის განხილვები;
- ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა დანართებით;
- შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში მისია;
- მსგავს პროგრამებთან შედარების ანალიზი;
- დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- შრომის ბაზრის და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი;

- უნივერსიტეტის ვებ - გვერდი: //britishuni.edu.ge/;
- დარგის ექსპერტების მიერ განხორციელებული გარე შეფასების შედეგების დოკუმენტაცია.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია, უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდეს თუ როგორ ითვალისწინებს პროგრამის მიზნები ინტერნაციონალიზაციას. მიზნებში უფრო კონკრეტულად უნდა იყოს გათვალისწინებული ინტერნაციონალიზაციის ასპექტები, განსაკუთრებით "ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამისთვის ფინანსებში" და "ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამისთვის მენეჯმენტში".
- რეკომენდებულია, ყველა პროგრამის მიზნებში უფრო კონკრეტულად აღიწეროს მათი წვლილი შესაბამისი დარგების და საქართველოს საზოგადოების განვითარებაში.

**კლასტერის საერთო რჩევები:**

- მიუხედავად იმისა, რომ მიზნებში ნახსენებია ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება, სასურველია გაკეთდეს უფრო მკაფიო მითითება იმის შესახებ, თუ როგორ განხორციელდა მათი გათვალისწინება.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 1 ("საჯარო პოლიტიკა და მმართველობა", სამაგისტრო პროგრამა, მეშვიდე დონე)**

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

- რეკომენდებულია, მკაფიოდ იყოს წარმოჩენილი, თუ როგორ უწყობს ხელს პროგრამა საჯარო პოლიტიკის და მმართველობის სფეროს განვითარებას საქართველოს და საერთაშორისო დონეზე.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს მეორე მიზანი "ხელს უწყობს რთული, მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო

კომპეტენციების და უნარების განვითარებას", რათა უფრო კონკრეტულად განისაზღვროს განსავითარებელი კომპეტენციების და უნარების სახეები.

- რეკომენდებულია, გადაიხედოს მესამე მიზანი, რათა უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბდეს თუ როგორ გარდაიქმნება ყოვლისმომცველი მსოფლმხედველობა პრაქტიკული პრობლემების გადაჭრის უნარებად.

**რჩევ(ებ)ი: არ არის მითითებული**

**პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში", მეშვიდე დონე)**

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

- რეკომენდებულია, გადაიხედოს პირველი მიზანი უფრო კონკრეტული და ზუსტი ფორმულირების ჩამოყალიბების მიზნით, სიცხადისთის შესაძლებელია მათი დაყოფა ორ ნაწილად.
- რეკომენდებულია, მიზნებში უფრო მკაფიოდ იყოს ასახული ფინანსების დარგის და საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილი.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს კონკრეტული მიზნის ჩამოყალიბება, რომელიც ასახავს პროგრამის ორიენტაციას თანამედროვე ფინანსურ ტექნოლოგიებთან და ინოვაციებთან დაკავშირებით, ვიანიდან აღნიშნული წარმოადგენს ფინანსების სფეროში განვითარების მთავარ მიმართულებას.

**რჩევ(ებ)ი: არ არის მითითებული**

**პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში", მეშვიდე დონე)**

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

- რეკომენდებულია, გადაიხედოს პირველი მიზანი იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს უფრო კონკრეტულად ან სიცხადისთვის დაიყოს რამდენიმე მიზნად.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს მეორე მიზნის ფორმულირება, " თანამედროვე ადგილობრივი ან გლობალური მმართველობითი გამოწვევების გაანალიზება და გადაჭრა" იმისათვის, რომ უფრო მკაფიოდ განისაზღვროს გამოწვევების სახეები და მათი გადაჭრის გზები.
- რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს სპეციფიკური მიზანი, რომელიც ასახავს პროგრამის ორიენტაციას განავითაროს ციფრული ეპოქისთვის საჭირო ლიდერობის უნარები, ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენს თანამედროვე

მენეჯმენტის განათლების მნიშვნელოვან ასპექტს და აუცილებელია ბიზნესის აღმასრულებლებისთვის.

**რჩევ(ებ)ი: არ არის მითითებული**

**შეფასება**[6]

| კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები | შესაბამისობაში ია მოთხოვნებთა ნ | მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთა ნ | ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთა ნ | არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთა ნ |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 ("საჯარო პოლიტიკა და მმართველობა", სამაგისტრო პროგრამა, მეშვიდე დონე) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში", მეშვიდე დონე) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში", მეშვიდე დონე) | ☐ | X | ☐ | ☐ |

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

[6] შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

კლასტერული აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი სამი პროგრამის სწავლის შედეგები ზოგადად შეესაბამება მათ პროგრამულ მიზნებს. "საჯარო პოლიკის და მმართველობის" სამაგისტრო პროგრამა ხაზს უსვამს ინტერდისციპლინურ სწავლებას და ისეთ უნარებს, როგორიცაა ეთიკური ხელმძღვანელობა და სტრატეგიული მმართველობა, რომელიც ორიენტირებულია დემოკრატიულ პრინციპებზე. "ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში" ხვეწავს ცოდნას ფინანსურ სტრატეგიებში და რისკების მართვაში ეთიკური ორიენტაციით, ხოლო "ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში" გლობალურ მენეჯერულ გამოწვევებთან გასამკლავებლად აერთიანებს ხელმძღვანელობას, სტრატეგიულ დაგეგმვას და ანალიტიკას.

თითოეული სასწავლო გეგმა ხელს უწყობს თავის სფეროში კომპეტენციის განვითარებას. "საჯარო პოლიტიკის და მმართველობის" სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები იძენენ ორგანიზაციულ და პოლიტიკის შემუშავების უნარებს, ფინანსების სტუდენტები ვითარდებიან ინოვაციების და ფინანსური სტრატეგიების მიმართულებით, ხოლო მენეჯმენტის სტუდენტები ივითარებენ სამეწარმეო და კულტურათაშორისი კომუნიკაციის უნარებს. აღნიშნული უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების მზაობას პრაქტიკული გამოყენებისთვის.

შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სამივე პროგრამა აჩვენებს აღნიშნულ სტანდარტებთან შესაბამისობას პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში თანამშრომლობითი მიდგომის ხელშეწყობით, დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრის, მათ შორის აკადემიური პერსონალის, სტუდენტების და დამსაქმებლების ჩართვით. პროგრამების ფარგლებში სწავლის შედეგების თანმიმდევრულობა და პროგრესია ასახავს გააზრებულ სტრუქტურას საგანმანათლებლო ციკლების შესაბამისად, უზრუნველყოფს კავშირს შინაარსის კომპლექსურობის და სირთულის ნიშნულებთან. გარდა ამისა, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს გამჭვირვალობას ყველა დაინტერესებული მხარისთვის აღნიშნული შედეგების შესახებ ინფორმაციის ეფექტურად მიწოდებით, რაც ამლიერებს მის ვალდებულებას განათლების ხარისხის და ანგარიშვალდებულების მიმართ.

მიუხედავად ამისა, სააკრედიტაციო დოკუმენტაციის შესწავლის და ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრებების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა რამდენიმე გარემოება. "საჯარო პოლიტიკის და მმართველობის" სამაგისტრო პროგრამისთვის სარისკოა გამოცდილების განაწილება ადგილობრივ და საერთაშორისო მმართველობას შორის. "ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში" პრაქტიკულ უნარებზე მეტად, როგორიცაა ფინტექი აქცენტს აკეთებს თეორიაზე და "ბიზნესის ადმინისტრირების აღამსრულებელი სამაგისტრო პროგრამის მენეჯმენტში" ფართო სასწავლო გეგმას, როგორც ჩანს, აკლია სიღრმე პროგრამის სწავლის შედეგების მიმართულებით. გარდა

ამისა, თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, მენეჯმენტის პროგრამაში არ არის მითითებული საერთაშორისო ნიშნულები, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს გლობალურ აღიარებას. დამატებით, ფინანსების აღმასრულებელ სამაგისტრო პროგრამაში შესაძლებელია მეტი აქცენტი გაკეთდეს მეწარმეობაზე, ხოლო მენეჯმენტის აღმასრულებელ სამაგისტრო პროგრამაში შესაძლებელია გააძლიერდეს კავშირები საერთაშორისო კორპორატიულ ქსელებთან. დაინტერესებულმა მხარეებმა, მათ შორის აკადემიურმა პერსონალმა და დამსაქმებლებმა, წვლილი შეიტანეს სწავლის შედეგების ჩამოყალიბებაში, თუმცა პროგრამებში, პრაქტიკის გაძლიერების მიზნით შეიძლება უკეთესად იყოს გათვალისწინებული დამსაქმებლების უკუკავშირი.

გაუმჯობესების თავლსაზრისით, საჯარო პოლიტიკის და მმართველობის სამაგისტრო პროგრამა შესაძლებელია ითვალისწინებდეს სპეციალიზაციას ეროვნულ ან საერთაშორისო მმართველობაში. "ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელ სამაგისტრო პროგრამისთვის ფინანსებში" მომგებიანი იქნება განვითარებად ბაზრებზე ფინტექის და შემთხვევების შესწავლის დამატება, ხოლო "ბიზნესის ადმინისტრირების აღამსრულებელ სამაგისტრო პროგრამას მენეჯმენტში" შეუძლია გაამარტივოს ძირითადი დისციპლინები და ხელი შეუწყოს გლობალურ ორგანიზაციულ პარტნიორობას. პროგრამების ძლიერ მხარეს წარმოადგენს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და ინოვაციური მეთოდები, როგორიცაა ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული პროექტების მართვა. "საჯარო პოლიტიკის და მმართველობის" სამაგისტრო პროგრამის ინტერდისციპლინური მიდგომა ამზადებს სტუდენტებს სხვადასხვა პოზიციებისთვის, "ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში" იცავს ეთიკურ გლობალურ სტანდარტებს, ხოლო "ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში" ხელს უწყობს კრეატიული გადაწყვეტილებების მიღებას. აღნიშნული პროგრამები აკმაყოფილებს სტანდარტებს და აჩვენებს პერსპექტივას, მაგრამ საჭიროებს მიზნობრივ დახვეწას მათი რელევანტურობის და გლობალური კონკურენტუნარიანობის მაქსიმალურ დონეზე გამოსავლენად.

**პროგრამა 1 ("საჯარო პოლიტიკა და მმართველობა", სამაგისტრო პროგრამა, მეშვიდე დონე)**

შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში "საჯარო პოლიტიკის და მმართველობის" სამაგისტრო პროგრამა კარგად შეესაბამება მის მიზნებს და 1.2 კომპონენტის მოლოდინებს. აღნიშნული პროგრამა აღჭურვავს სტუდენტებს ინტერდისციპლინური ცოდნით და უნარებით, რომლებიც აუცილებელია რთული მმართველობითი და პოლიტიკის შემუშავების გამოწვევების დასაძლევად. პროგრამაში აქცენტი კეთდება ეთიკურ ხელმძღვანელობაზე, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებების მიღებაზე და სტრატეგიულ მმართველობაზე იმისათვის, რომ მოამზადოს პროფესიონალები საჯარო და საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიციებისთის.

პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, მიღწევადია და შეესაბამება კვალიფიკაციის სტანდარტების მე - 7 დონეს. სტუდენტები იძენენ მმართველობის პრინციპების, საჯარო ფინანსების და სახელმწიფო ფუნქციების საფუძვლიან ცდონას, ამასთანავე ივითარებენ  უნარებს სტრატეგიულ დაგეგმვაში, პოლიტიკის ანალიზში და ეთიკური პრობლემების გადაჭრაში.  პროგრამაში კვლევითი მეთოდების გათვალისწინება უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულებს შეუძლიათ მიუდგნენ თანამედროვე პოლიტიკის გამოწვევებს მონაცემებზე დაფუძნებული პერსპექტივით.

აღნიშნული ძლიერი მხარეების მიუხედავად, პროგრამის ფართო ორიენტაციამ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო მმართველობაზე შეიძლება შეზღუდოს სტუდენტების მიერ რომელიმე სფეროში გამოცდილების მიღების სიღრმე. უფრო სპეციალიზებული ორიენტაცია გააძლიერებდა მის ღირებულებას.  ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ის ეფექტურად აერთიანებს დემოკრატიულ პრინციპებს, თანამედროვე ტექნოლოგიების და ინოვაციური ინსტრუმენტების გათვალისწინებამ შეიძლება გაზარდოს მისი რელევანტურობა.

პროგრამა კარგად არის სტრუქტურირებული დასაქმებისთვის და ამზადებს კურსდამთავრებულებს მთავრობაში, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში კარიერისთვის, აკადემიური წინსვლის მკაფიო შესაძლებლობებით.  თანამშრომლობა დაინტერესებულ მხარეებთან, როგორიცაა სტუდენტები და გარე ექსპერტები ზრდის მის რელევანტურობას, თუმცა დამსაქმებლების უკუკავშირის უფრო ძლიერი მექანიზმებით პროგრამა შეიძლება გახდეს კიდევ უფრო პრაქტიკული.  კარგი იქნება პროგრამის სწავლის შედეგებში ორიენტაციის დავიწროება და ტექნოლოგიური კომპეტენციების დამატება საჯარო სექტორის საჭიროებების უკეთ დასაკმაყოფილებლად.

პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში", მეშვიდე დონე)

"ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში" ემსახურება ფინანსების პროფესიონალებს თეორიის და პრაქტიკული გამოყენების შერწყმით. მისი მიზანია ფინანსური მენეჯმენტის და სტრატეგიის სფეროში მოწინავე ცოდნის შექმნა, სტუდენტების მომზადება საფინანსო ინდუსტრიაში ხელმძღვანელის პოზიციებისთვის. პროგრამის ორიენტაცია ეთიკურ პრაქტიკაზე და რთულ ფინანსურ სისტემებში მოქმედებაზე უზრუნველყოფს როგორც პროფესიულ, ისე აკადემიურ სტანდარტებთან შესაბამისობას. პროგრამის სწავლის შედეგები არის ნათელი, პრაქტიკული და მიღწევადი, შეესაბამება კვალიფიკაციების აღწერის მე-7 დონეს. კურსდამთავრებულები იძენენ ფინანსური სისტემების კრიტიკული ანალიზის, საბაზრო ტენდენციების შეფასების და სტრატეგიული ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების უნარებს. აქცენტი  ეთიკაზე ხელს უწყობს ფინანსების დარგში კეთილსინდისიერ ხელმძღვანელობას.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ძლიერია, სასარგებლო იქნება მათში ისეთი ასპექტების გათვალისწინება, როგორიცაა განვითარებადი ფინანსური ტექნოლოგიები, ფინტექი და ბლოკჩეინი. გარდა ამისა, მეტი აქცენტი კეთდება თეორიაზე ვიდრე პრაქტიკულ სამეწარმეო უნარებზე, რამაც შეიძლება შეზღუდოს კურსდამთავრებულის მრავალფეროვანი კარიერული შესაძლებლობები. პროგრამა კარგად შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს, ამზადებს სტუდენტებს ისეთი პოზიციებისთვის, როგორიცაა მთავარი ფინანსური ოფიცერი, კონსულტანტი და ფინანსური ანალიტიკოსი. ქსელური კავშირების შესაძლებლობების გაძლიერებამ და ინდუსტრიასთან კავშირების გამყარებამ შეიძლება გააუმჯობესოს გლობალური კონკურენტუნარიანობა. პროგრამისთვის სასარგებლო იქნება პროგრამის სწავლის შედეგებში ფინტექის და უფრო პრაქტიკული სამეწარმეო საკითხების გათვალისწინება.

- ფინტექის თემების გაფართოება ბლოკჩეინის, კრიპტოვალუტების და გადაწყვეტილებების მიღებაში ხელოვნური ინტელექტის დამატებით უკეთ მოამზადებს კურსდამთავრებულებს თანამედროვე გამოწვევებისთვის. ასევე კურსდამთავრებულებისთვის მნიშვნელოვანი იქნებოდა შემთხვევების შესწავლის ან სერტიფიცირების ვარიანტების დამატება.
- საერთაშორისო ფინანსებზე სპაციალიზებულ ორიენტაციას, რომელიც მოიცავს რეგულაციებს და საზღვებსშორის მართვას, შეუძლია გააძლიეროს კურსდამთავრებულთა გლობალური კომპეტენცია. აღნიშნული დამატება პირდაპირ დაუჭერს მხარს სწავლის შედეგებს, საერთაშორისო ბაზრების შეფასების თვალსაზრისით.

**პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში", მეშვიდე დონე)**

"ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში" წარმოადგენს ყოვლისმომცველ პროგრამას ლიდერობის და მმართველობითი კომპეტენციის განსავითარებლად. პროგრამა სტუდენტებს ამზადებს რთული გადაწყვეტილებების მიღების პოზიციებისთვის სტრატეგიული მენეჯმენტის, მონაცემთა ანალიტიკის, ორგანიზაციული ქცევის და ლიდერობის საკითხების დაფარვით. აღნიშნული ინტერდისციპლინური კომპონენტები შეესაბამება პროგრამის მიზანს მოამზადოს გლობალურად კონკურენტუნარიანი მენეჯერები. სწავლის შედეგები არის კონკრეტული, რეალისტური და მენეჯმენტისთვის შესაბამისი. სტუდენტები იძლიერებენ თავიანთ უნარებს ფინანსური გადაწყვეტილებების, სტრატეგიული ანალიზის და ბიზნეს ინოვაციებისთვის ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით. გლობალური ბიზნესის პერსპექტივა და კულტურათაშორის კომუნიკაციაზე ორიენტაცია განსაკუთრებით ღირებულია დღევანდელ ურთიერთდაკავშირებულ ბიზნეს სამყაროში.

პროგრამა ხელს უწყობს დასაქმებადობას სხვადასხვა დარგში ხელმძღვანელების პოზიციებისთვის სტუდენტების მომზადებით. გლობალურ ორგანიზაციებთან უფრო მჭიდრო კავშირებმა და პარტნიორობების მეშვეობით მეტმა პრაქტიკულმა გამოყენებამ შესაძლოა გააძლიეროს მისი მიმზიდველობა. რეკომენდაციები მოიცავს სასწავლო გეგმის ოპტიმიზაციას და გლობალური გამოწვევების ეფექტურად დასაძლევად ინდუსტრიასთან თანამშრომლობის გაზრდას.

ზოგიერთი პროგრამის სწავლის შედეგი საჭიროებს რეფორმულირებას, მაგალითად პირველი შედეგი "კრიტიკულად აანალიზებს მენეჯმენტის პროცესს და პრინციპებს, როგორიცაა სტრატეგიული მენეჯმენტი, მარკეტინგის მენეჯმენტი, მიწოდების ჯაჭვის მართვა, რისკების და კრიზისების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა და სხვადასხვა ხელმძღვანელობის სტილები" იმისათვის, რომ იყოს უფრო რეალისტური და გაზომვადი. მდგრად პრაქტიკებზე და ციფრულ ტრანსფორმაციაზე უფრო მკვეთრმა ორიენტაციამ შეიძლება გააუმჯობესოს პროგრამის თანამედროვე გლობალურ ბიზნეს ტენდენციებთან შესაბამისობა. პროგრამაში პროექტების მართვისთვის ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გათვალისწინებამ შეიძლება გააძლიეროს ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლის შედეგები. ლიდერობის მიმართულებების შექმნა - ისეთ სფეროებზე ორიენტირებით, როგორიცაა კრიზისული ან სამეწარმეო ლიდერობა - ხელს შეუწყობს განსხვავებულ კარიერულ მიზნებს. აღნიშნული მიმართულებები უნდა დაეფუძნოს და გააფართოვოს არსებული ხელმძღვანელობის შედეგები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში;
- ექსპერტთა ჯგუფის განხილვები;
- სამაგისტრო პროგრამების აღწერილობები;
- მსგავს პროგრამებთან შედარების ანალიზი;
- დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- შრომის ბაზრის და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი;
- უნივერსიტეტის ვებ - გვერდი: //britishuni.edu.ge/;
- დარგის ექსპერტების მიერ განხორციელებული გარე შეფასების შედეგების დოკუმენტაცია.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული**

**კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული**

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

**პროგრამა 1 ("საჯარო პოლიტიკა და მმართველობა", სამაგისტრო პროგრამა, მეშვიდე დონე)**

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

- რეკომენდებულია, დავიწროვდეს ორიენტაცია და დაემატოს ტექნოლოგიური კომპეტენციები პროგრამის სწავლის შედეგებში საჯარო სექტორის საჭიროებების უკეთ დაკმაყოფილების მიზნით.

**რჩევ(ებ)ი: არ არის მითითებული**

**პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში", მეშვიდე დონე)**

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

- რეკომენდებულია, გაფართოვდეს ფინტეკის თემები ბლოკჩეინის, კრიპტოვალუტების და გადაწყვეტილების მიღებაში ხელოვნური ინტელექტის გათვალისწინებით იმისათვის, რომ უკეთესად მოამზადოს კურსდამთავრებულები თანამედროვე გამოწვევებისთვის.

**რჩევ(ებ)ი:**

- გაუმჯობესების მიზნით, სასურველია პროგრამას დაემატოს ფინტექის მოდულები და მეტი პრაქტიკული სამეწარმეო სწავლება.
- საერთაშორისო ფინანსებზე სპაციალიზებულ ორიენტაციას, რომელიც მოიცავს რეგულაციებს და საზღვებსშორის მართვას, შეუძლია გააძლიეროს კურსდამთავრებულთა გლობალური კომპეტენცია. აღნიშნული დამატება პირდაპირ დაუჭერს მხარს სწავლის შედეგებს, საერთაშორისო ბაზრების შეფასების თვალსაზრისით.

**პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში", მეშვიდე დონე)**

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

- რეკომენდებულია, გადაიხედოს პირველი სწავლის შედეგი, "კრიტიკულად აანალიზებს მენეჯმენტის პროცესს და პრინციპებს, როგორიცაა სტრატეგიული მენეჯმენტი, მარკეტინგის მენეჯმენტი, მიწოდების ჯაჭვის მართვა, რისკების და

კრიზისების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა და სხვადასხვა ლიდერობის სტილი" იმისათვის, რომ იყოს უფრო რეალისტური და გაზომვადი.

შეფასება

| კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 ("საჯარო პოლიტიკა და მმართველობა", სამაგისტრო პროგრამა, მეშვიდე დონე) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში", მეშვიდე დონე) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში", მეშვიდე დონე) | ☐ | X | ☐ | ☐ |

## 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

შპს ბრიტანულმა სასწავლო უნივერსიტეტმა საქართველოში შეიმუშავა "საჯარო პოლიტიკის და მმართველობის სამაგისტრო პროგრამის, "ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსებში" და "ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მენეჯმენტში" ფარგლებში

სწავლის შედეგების შეფასების სისტემური მიდგომა. თვითშეფასების ანგარიშში აღწერილი მეთოდები ორიენტირებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი აკრედიტაციის სტანდარტების პირველი სტანდარტის 1.3 კომპონენტთან შესაბამისობაზე, მათ შორის შეფასების პროცესების პროგრამის განვითარების და გაუმჯობესების ფართო ციკლებში ინტეგრირებაზე. თუმცა, აღნიშნული ანალიზი მიზნად ისახავს კრიტიკულად შეაფასოს შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში 1.3 კომპონენტთან შესაბამისობა კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების ძლიერი მხარეების, პრობლემური სფეროების და გაუმჯობესების შესაძლებლობების შესწავლით.

უნივერსიტეტის მთავარ ძლიერ მხარეს წარმოადგენს სწავლის შედეგების სისტემური დოკუმენტირება და დეტალური შეფასების რუკების შემუშავება, რომლებიც პროგრამის მიზნებს აკავშირებს კონკრეტულ შედეგებთან. პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდების გათვალისწინება, როგორიცაა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, გამოკითხვები და დამსაქმებლების უკუკავშირი, უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ ჩარჩოს სწავლის შედეგების მიღწევის გასაზომად. დაინტერესებული მხარეებისთვის, მათ შორის სტუდენტებისთვის, აკადემიური პერსონალისთვის და გარე პარტნიორებისთვის შეფასების შედეგებთან დაკავშირებით რეგულარულ რეჟიმში ინფორმაციის მიწოდება თვალსაჩინოს ხდის უნივერსიტეტის ვალდებულება გამჭვირვალობის მიმართ. აღნიშნული უზრუნველყოფს ღია დიალოგს პროგრამის ეფექტურობის და გასაუმჯობესებელი სფეროების შესახებ.

წარმოდგენილი ძლიერი მხარეების მიუხედავად, შეფასების მექანიზმების სიღრმისეულად შესწავლისას იკვეთება 1.3 კომპონენტთან გარკვეული შეუსაბამობა. პირველ რიგში, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი აღწერს პროგრამის სწავლის შედეგებისთვის სამიზნე ნიშნულების გამოყენებას, შეზღუდულია მტკიცებულება სამიზნე ნიშნულების დასადგენად სფეროსთვის შესაფერისი მკაცრი მეთოდოლოგიის არსებობის შესახებ. აღნიშნული განსაკუთრებით საყურადღებოა ბიზნესის ადმინისტრირების აღამსრულებელ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ფინანსების მიმართულებით, სადაც დარგთან დაკავშირებულ კომპეტენციებს და შეფასების მეტრიკებს შორის შესაბამისობა მოითხოვს მეტ სიცხადეს. ანალოგიურად, სამიზნე ნიშნულების მონიტორინგის და დახვეწის მექანიზმებს აკლია რეგულარულობა და სტრუქტურირებული უკუკავშირის ციკლები, რაც აჩენს კითხვებს დარგის ცვალებად მოთხოვნებთან პროგრამის ადაპტირების უნარზე.

გარდა ამისა, გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, მიუხედავად იმისა, რომ ნახსენებია თვითშეფასების ანგარიშში, არასაკმარისად არის გათვალისწინებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლში. მაგალითად, "საჯარო პოლიტიკის და მმართველობის" პროგრამაში შეზღუდულად არის წარმოდგენილი მტკიცებულებები სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან უწყვეტი და სისტემური თანამშრომლობის შესახებ სწავლის შედეგების რელევანტურობის დასადასტურებლად. აღნიშნული შეიძლება პირდაპირ არ წარმოადგენდეს ამ კომპონენტის მოთხოვნას, მაგრამ სარგებელოა გარე ვალიდაციის და პროგრამების მნიშვნელოვანი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

აღსანიშნავი შეუსაბამობა იკვეთება  აკადემიური და მოწვეული პერსონალის მომზადების და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით.  მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების ანგარიშში ხაზგასმულია გარკვეული ძალისხმევა ამ მიმართულებით, დოკუმენტი არ იძლევა დეტალურ ინფორმაციას სტრუქტურირებული პროფესიული განვითარების ინიციატივების შესახებ, რომლებიც პერსონალს აღჭურვავს შეფასების მექანიზმების ეფექტური განხორციელებისთვის საჭირო უნარებით.  როგორც ჩანს, საჭიროა გაუმჯობესდეს პერსონალისთვის სტრუქტურირებული მხარდაჭერის უზრუნველყოფის ძალისხმევა სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვის და ანალიზის უნარების განვითარების მიზნით.  გარდა ამისა, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ალტერნატიული მექანიზმების შემუშავებით, დაძლეული იქნება გამოწვევები მცირე ჩარიცხვის მქონე პროგრამებში, როგორიცაა საჯარო პოლიტიკის და მმართველობის სამაგისტრო პროგრამა, რაც ასევე,  კიდევ უფრო გააძლიერებს მათი შეფასების პროცესს. აღნიშნული ხარვეზი შეიძლება გამოწვეული იყოს შეფასების მეთოდების არათანმიმდევრული გამოყენებით, რაც პოტენციურად ხელს უშლის შეფასების შედეგების სანდოობას. უნივერსიტეტმა აღნიშნა ბაკინგემის უნივერსიტეტთან თანამშრომლობა და გარკვეულ საკითხებში მათი მხარდაჭერა.

დამატებით, პროგრამის სპეციფიკური ანალიზი იძლევა საინტერესო ხედვას აღნიშნულ ქვესტანდარტთან დაკავშირებით. ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელ სამაგისტრო პროგრამაში მენეჯმენტის მიმართულებით  კარგად არის წარმოდგენილი თვისებრივი მეთოდების გამოყენება, როგორიცაა შემთხვევების შესწავლა და სიმულაციები, თუმცა თვითშეფასების ანგარიში და პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტები იძლევა მცირე ინფორმაციას სწავლის შედეგების გასაზომად  რაოდენობრივი ანალიზის განხორციელების შესახებ. ანალოგიურად, "საჯარო პოლიტიკის და მმართველობის" სამაგისტრო პროგრამას ეთიკური და დემოკრატიული მმართველობის პრინციპების ხაზგასმის მიუხედავად, აკლია მკაფიო მექანიზმი რეალურ სიტუაციებში აღნიშნული  პრინციპების პრაქტიკული გამოყენების შესაფასებლად.

ზოგადად, შპს ბრიტანულმა სასწავლო უნივერსიტეტმა საქართველოში  უნდა შეიმუშავოს ცენტრალიზებული ჩარჩო პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების დასადგენად, მონიტორინგის განსახორციელებლად და დასახვეწად.  აღნიშნული ჩარჩო უნდა მოიცავდეს სამივე პროგრამასთან მიმართებით გარე დაინტერესებულ მხარეებთან რეგულარულ კონსულტაციებს, დარგის რელევანტურობის და გამოყენებადობის უზრუნველსაყოფად. დამატებით, შეფასების მეთოდების გამოყენების სტანდარტიზების მიზნით, უნდა განხორციელდეს პერსონალის სტრუქტურირებული პროფესიული განვითარების პროგრამები.

პროგრამასთან დაკავშირებული რეკომენდაციები მოიცავს "საჯარო პოლიტიკის და მმართველობის" სამაგისტრო პროგრამის გაძლიერებას მმართველობის და საჯარო პოლიტიკის გამოყენებითი უნარების შესაფასებლად დარგისთვის დამახასიათებელი მეტრიკების გათვალისწინებით. "ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამისთვის ფინანსებში"  რეკომენდებულია, ფინანსების დარგის სტანდარტებთან

შეფასების მეტრიკების შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავდეს მყარი მექანიზმი. და ბოლოს, "ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელ სამაგისტრო პროგრამას მენეჯმენტში" სარგებელს მოუტანს რაოდენობრივი შეფასების მეთოდების უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბება მისი ძლიერი თვისებრივი მიდგომის შესავსებად.

ზოგადად, შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში დემონსტრირებს საქებარ ვალდებულებას პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიმართ, ზემოთ აღწერილი ხარვეზების აღმოფხვრა გააუმჯობესებს 1.3 კომპონენტთან შესაბამისობას, ხელს შეუწყობს უფრო ეფექტურ და გამჭვირვალე შეფასების მექანიზმს, რომელიც შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოლოდინებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში;
- ექსპერტთა ჯგუფის განხილვები;
- სამაგისტრო პროგრამების აღწერილობები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია;
- ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგებზე დაკვირვების მეთოდოლოგია და გეგმა;
- უნივერსიტეტის ვებ - გვერდი: //britishuni.edu.ge/;
- საგანმანათლებლო პროგრამის ყოველწლიური შეფასების ფორმა.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია, შპს ბრიტანულმა სასწავლო უნივერსიტეტმა საქართველოში შეიმუშავოს ცენტრალიზებული ჩარჩო სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების დადგენის, მონიტორინგის და დახვეწის მიზნით, რაც მოიცავს გარე დაინტერესებულ მხარეებთან რეგულარულ კონსულტაციებს სამივე პროგრამის ინდუსტრიასთან შესაბამისობის და გამოყენებადობის უზრუნველსაყოფად.

**კლასტერის საერთო რჩევები:**

- სასურველია, პერსონალისთვის შემუშავდეს სტრუქტურირებული პროფესიული განვითარების პროგრამები შეფასების მეთოდების გამოყენების სტანდარტიზაციისთვის.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

პროგრამა 1 ("საჯარო პოლიტიკა და მმართველობა", სამაგისტრო პროგრამა,

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის მითითებული

რჩევ(ებ)ი:

- სასურველია, მეტი ყურადღება გამახვილდეს დარგის სპეციფიკურ მეტრიკებზე საჯარო პოლიტიკის და მმართველობის პროგრამაში გამოყენებითი უნარების შესაფასებლად.

პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში", მეშვიდე დონე)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის მითითებული

რჩევ(ებ)ი:

- სასურველია, ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელ ფინანსების სამაგისტრო პროგრამაში შემუშავდეს მყარი მექანიზმები შეფასების მეტრიკების ფინანსების დარგის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში", მეშვიდე დონე)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის მითითებული

რჩევ(ებ)ი: არ არის მითითებული

შეფასება

| კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 ("საჯარო პოლიტიკა და მმართველობა", სამაგისტრო პროგრამა, მეშვიდე დონე) | ☐ | X | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში", მეშვიდე დონე) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში", მეშვიდე დონე) | ☐ | X | ☐ | ☐ |

## 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

---

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

მენეჯმენტის კლასტერში დაჯგუფებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქციების შესაბამისად, რომელიც შემუშავებულია ბრიტანული უნივერსიტეტის მიერ საქართველოში. პროცესში ჩართულები იყვნენ პროფესორ-მასწავლებლები, უნივერსიტეტის მენეჯმენტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დამსაქმებლები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები, რაც ადასტურებს ყოვლისმომცველი და თანამშრომლობითი მიდგომის არსებობას და უზრუნველყოფს, რომ პროგრამები პასუხობდეს ყველა დაინტერესებული მხარის საჭიროებებს.

საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის სამაგისტრო პროგრამა შედგება 120 კრედიტისაგან და 4 სემესტრიანია, რაც შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს (სამაგისტრო ხარისხს).
ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამები ფინანსებსა და მენეჯმენტში 70 კრედიტისგან შედგება და 2 აკადემიური სემესტრიანია, რაც ასევე შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს (აღმასრულებელი სამაგისტრო ხარისხი).

პროგრამების მოცულობა, შინაარსი და სირთულე უზრუნველყოფს ამ საგანმანათლებლო საფეხურისთვის განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან შესაბამისობას. სამივე სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობისა და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სტანდარტიზებასა და აღიარებას ევროპული საგანმანათლებლო ჩარჩოების ფარგლებში და ხელს უწყობს სტუდენტთა მობილობასა და კრედიტების ტრანსფერს.

პროგრამების სასწავლო კურსების დატვირთვა ისე არის განაწილებული, რომ სტუდენტმა ეტაპობრივად შეიძინოს ღრმა დარგობრივი ცოდნა. პროგრამები სტრუქტურირებულია იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იქნას მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობა. პროგრამების შინაარსი და სტრუქტურა უმეტესწილად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და კვალიფიკაციის სპეციფიკურ მოთხოვნებს ასახავს. პროგრამების სტრუქტურა, ძირითადად ლოგიკური და თანმიმდევრულია. სასწავლო და კვლევითი კომპონენტები, მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო კურსები, უმეტესწილად, თანმიმდევრულად არის ორგანიზებული და განვითარებული, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ლოგიკურ პროგრესიას. პროგრამის მთლიანობის შესანარჩუნებლად შემდგომ კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები სათანადოდ არის განსაზღვრული. თუმცა, პროგრამებს აკლიათ დარგის რამდენიმე ძირითადი სასწავლო კურსი. ასევე, პრაქტიკული კომპონენტები საჭიროებს გაძლიერებას.

პროგრამები უმეტესწილად მოიცავს თანამედროვე სამეცნიერო და პრაქტიკულ მიღწევებსა და უახლეს კვლევით მიგნებებს. პროგრამის შინაარსი, ძირითადად, მოიცავს შესაბამისი დარგის ინტერნაციონალიზაციის საკითხებსა და პროგრამის საფეხურისათვის შესაბამის თემებს. აღნიშნული მიდგომა სტუდენტებს ამზადებს გლობალური გამოწვევებისა და შესაძლებლობებისთვის. პროგრამების შესახებ ინფორმაცია საჯაროა, ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის. აკრედიტებული პროგრამები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და მარტივ წვდომას დაინტერესებული პირებისთვის: https://britishuni.edu.ge/ka/teacher-training-educational-programme/.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა

საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე სათანადოდ შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს, რაც შესაბამისობაშია სამაგისტრო ხარისხთან. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს მის შესაბამისობას კვალიფიკაციასთან „საჯარო მმართველობის მაგისტრი“. აღნიშნული კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, კვალიფიკაცია მიენიჭება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი დააგროვებს საგანმანათლებლო პროგრამის მინიმუმ 120 კრედიტს.

პროგრამა მოიცავს სასწავლო (90 კრედიტი – აქედან 75 კრედიტი სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის და 15 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსებისთვის) და კვლევით (30 კრედიტი – სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვისთვის) კომპონენტებს. აღსანიშნავია, რომ პროგრამით შემოთავაზებული ყველა სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობა 5 კრედიტს შეადგენს, რაც გარკვეულ კითხვებს წარმოშობს კრედიტების მინიჭების პროცესთან დაკავშირებით. თუმცა, ადგილზე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრების დროს, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხრიდან მათ სრული აკადემიური თავისუფლება აქვთ მინიჭებული და თავად განსაზღვრავენ, რამდენი კრედიტი უნდა ჰქონდეს კონკრეტულ სასწავლო კურსს.

პროგრამის სტრუქტურა, ძირითადად, ლოგიკურად არის ორგანიზებული, სადაც სისტემურად განვითარებული სასწავლო კომპონენტები თანმიმდევრულ პროგრესს უზრუნველყოფს. შემდგომ კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები სწორად არის განსაზღვრული, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მთლიანობასა და შინაარსის ლოგიკურ განვითარებას.

თუმცა, პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსთან დაკავშირებით გვაქვს რამდენიმე რეკომენდაცია და რჩევა: კერძოდ:

- პროგრამა არ ითვალისწინებს პრაქტიკას სტუდენტებისთვის. სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გასაძლიერებლად, პროგრამას უნდა დაემატოს პროფესიული პრაქტიკის სავალდებულო კომპონენტი მინიმუმ 5 კრედიტის (ECTS) ოდენობით. გასაუბრების დროს დამსაქმებლებმაც აღნიშნეს, რომ კურსდამთავრებულთათვის მეტი პრაქტიკული უნარების განვითარება უკეთესი იქნებოდა.
- აკადემიური წერის/აკადემიური ინგლისურის კურსი არჩევითებიდან უნდა გადავიდეს სავალდებულო საგნების კომპონენტში. აღნიშნული კურსი უნდა განისაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობად სხვა სავალდებულო კურსებთან ერთად. წერითი უნარების გაძლიერება მნიშვნელოვნად დაეხმარება სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში. აღსანიშნავია, რომ პროგრამას ჯერ არ ჰყავს კურსდამთავრებულები, შესაბამისად, ექსპერტებს ადგილზე ვიზიტის ფარგლებში არ ჰქონდათ შესაძლებლობა, შეეფასებინათ პროგრამის ფარგლებში დაცული სამაგისტრო ნაშრომები.
- ვინაიდან პროგრამის კურსდამთავრებულებისთვის არსებითია საქართველოს სამართლებრივ სისტემაში მოქალაქეებისა და საჯარო მოხელეების უფლებების, მოვალეობებისა და სამართლებრივი მექანიზმების ცოდნა, რეკომენდებულია, რომ საჯარო სამართლის სასწავლო კურსი არჩევითი საგნების კომპონენტიდან სავალდებულო საგნების კომპონენტში გადავიდეს.

ზემოთხსენებული ცვლილებები პროგრამის სტრუქტურაში მარტივად შეიძლება განხორციელდეს, ზოგიერთი სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობის ცვლილების (შემცირების) გზით.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში)**

ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში შემუშავებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე სათანადოდ შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს, რაც შესაბამისობაშია აღმასრულებელი მაგისტრის ხარისხთან. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს მის შესაბამისობას კვალიფიკაციასთან „ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი მაგისტრი (EMBA) ფინანსებში". აღნიშნული კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, აღნიშიული კვალიფიკაცია მიენიჭება იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტი დააგროვებს საგანმანათლებლო პროგრამის მინიმუმ 60 კრედიტს.

„ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში" -ს (EMBA) საერთო მოცულობა შეადგენს 70 კრედიტს, საიდანაც 62 კრედიტი სავალდებულო სასწავლო კურსებისთვისაა განსაზღვრული (მათ შორის 6-კრედიტიანი პროექტი), ხოლო 8 კრედიტი – არჩევითი სასწავლო კურსებისთვის. პროგრამა არ მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას. პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურად არის ორგანიზებული, ხოლო სწავლების კომპონენტები სისტემურად არის განვითარებული, რაც უზრუნველყოფს თანმიმდევრულ პროგრესს. შემდგომ კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები, ძირითადად, სწორად არის განსაზღვრული, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მთლიანობასა და შინაარსის ლოგიკურ განვითარებას.

თუმცა, საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს სავალდებულო პრაქტიკას სტუდენტებისთვის. პროგრამაში აუცილებელია პროფესიული პრაქტიკის სავალდებულო კომპონენტის ჩართვა, რათა პროგრამა შესაბამისობაში იყოს ფინანსების დარგობრივ მახასიათებელთან (რომელიც განსაზღვრავს კვალიფიკაციის მინიჭებისთვის საჭირო მინიმალურ მოთხოვნებს სწავლის შედეგებისათვის, ასევე სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდებსა და სხვა არსებით მახასიათებლებს). ფინანსების დარგობრივი მახასიათებელი მოითხოვს, რომ ფინანსების საგანმათლებლო პროგრამებში პროფესიული პრაქტიკის კომპონენტი მინიმუმ 5 (ECTS) კრედიტს უნდა შეადგენდეს. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა 5 წლიანი პროფესიული გამოცდილებაა, პროგრამაში არ არის განსაზღვრული, რომ ეს გამოცდილება ფინანსების სფეროს უნდა ეხებოდეს. პროგრამაში აღნიშნული ჩანაწერის არსებობა კიდევ უფრო ზრდის ფინანსების სფეროში პრაქტიკის მნიშვნელობას პროგრამის კურსდამთავრებულისთვის. გასაუბრების დროს დამსაქმებლებმაც აღნიშნეს, რომ კურსდამთავრებულთათვის მეტი პრაქტიკული უნარების განვითარება უკეთესი იქნებოდა.

პროგრამის შედეგის (თანამედროვე ფინანსური სისტემების, კორპორატიული ფინანსების, რისკებისა და ინვესტიციების, ფინანსური მენეჯმენტის და სტრატეგიების კრიტიკული ანალიზი) მიღწევის უზრუნველსაყოფად და პროგრამის მიზნის (ფინანსების სფეროს თანამედროვე თეორიული ცოდნის გაღრმავება და პრაქტიკული უნარების განვითარება შემდეგ მიმართულებებში: ფინანსური სისტემა, საფინანსო ბაზარი, ფინანსური სტრატეგია, ფინანსური მენეჯმენტი და ოპერაციები, საფინანსო ტექნოლოგიები, რაც უზრუნველყოფს საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი პროფესიონალის მომზადებას) მისაღწევად, ფინანსების პროგრამის სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს სავალდებულო სასწავლო კურსებს, რომლებიც სტუდენტებს საფინანსო სისტემის (ფინანსური ინსტიტუტები, ფინანსური რეგულაციები) შესახებ ღრმა ცოდნას მისცემს. ამჟამად ფინანსური ინსტიტუტების საკითხები მინიმალურად არის დაფარული სხვადასხვა კურსებში, ხოლო ფინანსური რეგულაციები პროგრამაში საერთოდ არ ისწავლება.

შესაბამისად, პროგრამაში უნდა დაინერგოს ახალი სასწავლო კურსები, რომელთა ფარგლებშიც სტუდენტები საფუძვლიანად შეისწავლიან ფინანსურ ინსტიტუტებსა და რეგულაციებს. ამასთან, არჩევითი საგნების კომპონენტიდან ზოგიერთი სასწავლო კურსი შესაძლოა გადანაცვლდეს სავალდებულო საგნების კომპონენტში (მაგალითად, კომერციული ბანკები). რადგან პროგრამა ახალია და ჯერ არ განხორციელებულა, ექსპერტთა აზრით, ზემოთხსენებული ცვლილებების პროგრამაში შეტანა მარტივადაა შესაძლებელი.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში**

პროგრამა შემუშავებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე სათანადოდ შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს, რაც შესაბამისობაშია აღმასრულებელი მაგისტრის ხარისხთან. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს მის შესაბამისობას კვალიფიკაციასთან „ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი მაგისტრი (EMBA) მენეჯმენტში". აღნიშნული კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, აღნიშნიული კვალიფიკაცია მიენიჭება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი დააგროვებს საგანმანათლებლო პროგრამის მინიმუმ 60 კრედიტს.

„ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში"-ს (EMBA) კრედიტების საერთო მოცულობა შეადგენს 70 კრედიტს, საიდანაც 62 კრედიტი სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის არის განსაზღვრული (მათ შორის 6-კრედიტიანი პროექტი), ხოლო 8 კრედიტი – არჩევითი სასწავლო კურსებისთვის. პროგრამა არ მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას. პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურად არის ორგანიზებული, ხოლო სწავლების კომპონენტები სისტემურად არის განვითარებული, რაც

უზრუნველყოფს თანმიმდევრულ პროგრესს. შემდგომ კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები, ძირითადად, სწორად არის განსაზღვრული, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მთლიანობასა და შინაარსის ლოგიკურ განვითარებას. თუმცა, ექსპერტების მოსაზრებით, იმის გამო, რომ პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია ნებისმიერი სფეროს ბაკალავრის ხარისხის მქონე აპლიკანტისთვის, რომელთაც 5 წლიანი პროფესიული გამოცდილება გააჩნიათ (სამუშაო სფერო არ არის განსაზღვრული), სტუდენტებმა შესაძლოა გარკვეული კურსების ათვისება ვერ შეძლონ.

კერძოდ, ფინანსური მენეჯმენტი და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება არის სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტისგან სპეციფიურ ცოდნას მოითხოვს წინაპირობად, რომლის გარეშეც ამ საგნის ეფექტიანად ათვისება რთული იქნება. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული კურსი არ უნდა იყოს სავალდებულო საგანი პროგრამაში და უმჯობესია, ის არჩევით საგნებში გადავიდეს. ამის ნაცვლად, არჩევითი კურსი „სამეწარმეო ფინანსები“ უნდა გადანაცვლდეს სავალდებულო საგნების ჩამონათვალში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის დოკუმენტი და სილაბუსები
- გასაუბრებები ვიზიტის დროს.
- ბრიტანული უნივერსიტეტი საქართველოში - ვებგვერდი

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**კლასტერის ზოგადი რჩევები:** არ არის მითითებული

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 1 - საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა**

**რეკომენდაცები:**

- რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის კურსებს შორის კრედიტების ერთგვაროვანი განაწილება იმისათვის, რომ სილაბუსებში კრედიტების რაოდენობა შეესაბამებოდეს საგნის სრულ დატვირთვას.
- რეკომენდებულია, სტუდენტების პრაქტიკული უნარების გაძლიერების მიზნით, პროგრამას დაემატოს პროფესიული პრაქტიკის სავალდებულო კომპონენტი მინიმუმ 5 (ECTS) კრედიტის მოცულობით.

- რეკომენდებულია, აკადემიური წერის / აკადემიური ინგლისურის კურსი გადატანილ იქნას არჩევითი საგნების კომპონენტიდან სავალდებულო საგნების კომპონენტში და სხვა სავალდებულო საგნებთან ერთად განისაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობად.
- რეკომენდებულია, საჯარო სამართლის სასწავლო კურსი გადატანალ იქნას არჩევითი კურსების კომპონენტიდან სავალდებულო კურსების კომპონენტში, ვიანიდან საქართველოს სამართლებრივ სისტემაში მოქალაქეების და საჯარო მოხელეების უფლებების, ვალდებულებების და სამართლებრივი მექანიზმების ცოდნა აუცილებელია პროგრამის კურსდამთავრებულებისთვის.

**რჩევები: არ არის მითითებული**

**პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში)**

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია, სავალდებულო კურსის სახით პროგრამას დაემატოს პროფესიული პრაქტიკა სულ მცირე 5 (ECTS) კრედიტის მოცულობით, რათა შეესაბამებოდეს ფინანსების დარგობრივ მახასიათებელს (რომელიც, კვალიფიკაციის მისანიჭებლად განსაზღვრავს საჭირო სწავლის შედეგების მინიმალურ მოთხოვნებს, სწავლება - სწავლის და შეფასების მეთოდებს და სხვა არსებით მახასიათებლებს).

- რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს ახალი სავალდებულო სასწავლო კურსები, რომლებიც სტუდენტს მისცემს ფინანსური სისტემის სიღრმისეულ ცოდნას (ფინანსური ინსტიტუტები, ფინანსური რეგულაციები) პროგრამის მიზნის და შედეგების მისაღწევად. არჩევითი საგნების კომპონენტიდან ზოგიერთი სასწავლო კურსი შესაძლებელია გადატანილ იქნას სავალდებულო საგნების კომპონენტში (მაგალითად, კომერციული საბანკო საქმე).

**რჩევები: არ არის მითითებული**

**პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში**

**რეკომენდაციები: არ არის მითითებული**

**რჩევები:**

- იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამაზე დაიშვება ნებისმიერი სფეროს ბაკალავრის ხარისხის მქონე აპლიკანტი 5 წლიანი პროფესიული გამოცდილებით (სამუშაო სფერო არ არის განსაზღვრული), სტუდენტებმა შესაძლოა ვერ შეძლონ ზოგიერთი კურსის ათვისება. კერძოდ, "ფინანსური მენეჯმენტის და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების" სასწავლო კურსი, სტუდენტისგან წინაპირობის სახით მოითხოვს სპეციფიკურ ცოდნას, რომლის გარეშეც რთული იქნება საგნის დაძლევა. შესაბამისად, სასურველია აღნიშნული სასწავლო კურსი სავალდებულო საგნებიდან გადატანილ იქნას არჩევით კომპონენტში. სანაცვლოდ, არჩევითი კურსი "სამეწარმეო ფინანსები" გადატანილ უნდა იქნას სავალდებულო კურსების ჩამონათვალში

შეფასება

| კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 - საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები

უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

---

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სილაბუსებში მოცემულია სასწავლო კურსების მიზნები, სწავლების შედეგები, შეფასების სისტემები, სწავლება-სწავლის მეთოდები, შინაარსი და სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა. სასწავლო კურსების კრედიტებით დატვირთვა უმეტესად განსხვავდება, რაც ძირითადად კურსის საერთო სამუშაო დატვირთვით არის განპირობებული. ერთადერთი გამონაკლისი არის საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, სადაც ყველა სასწავლო კურსს თანაბრად ენიჭება 5 კრედიტი. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილება რაციონალურია. საკონტაქტო საათები (ლექციები, სემინარები / ჯგუფური სამუშაო / პრაქტიკული სამუშაო / კვლევითი სამუშაო) საკმარისია სტუდენტთა სწავლისა და სწავლის შედეგების მიღწევის მხარდასაჭერად.

სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამების სწავლის შედეგებს. თითოეული კურსის შინაარსი შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ძირითადად ეფუძნება დარგის უახლეს მიღწევებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსების თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა შეფასებას ექვემდებარება. სწავლის შედეგების შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები აღწერილია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

თუმცა, რამდენიმე სასწავლო კურსის შინაარსი და შესაბამისად, სასწავლო კურსების სწავლის შედეგები საჭიროებს ცვლილებას, რათა შეესაბამებოდეს სწავლების შესაბამისი საფეხურის სტანდარტებს (იხილეთ ქვემოთ შესაბამისი პროგრამების აღწერითი ანალიზი).

ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურაც საჭიროებს განახლებას, რათა ასახოს დარგის უახლესი მიღწევები და სტუდენტებს თანამედროვე ცოდნა მიაწოდოს.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა**

საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის ყველა სასწავლო კურსის კრედიტებით დატვირთვა ერთნაირია და 5 ECTS კრედიტს შეადგენს, რაც ბადებს ეჭვს, რომ კრედიტები კურსებს ენიჭება საერთო სამუშაო დატვირთვის გათვალისწინების გარეშე. თუმცა, როგორც უკვე აღნიშნულია 1.4 კომპონენტის აღწერით

ნაწილში, ადგილზე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრების დროს, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა განაცხადა, რომ სრული აკადემიური თავისუფლებით სარგებლობენ უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ადმინისტრაციისგან და თავად წყვეტენ, რამდენი კრედიტი უნდა მიენიჭოს კონკრეტულ სასწავლო კურსს.

საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილება რაციონალურია. საკონტაქტო საათები (ლექციები, სემინარები / პრაქტიკული სამუშაო) საკმარისია სტუდენტთა სწავლისა და სწავლის შედეგების მიღწევის მხარდასაჭერად. პროგრამა არ მოიცავს პრაქტიკის/სტაჟირების სავალდებულო კურსებს ორგანიზაციაში. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლება-სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა მოცემულია სილაბუსებში. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასწავლო კურსების სილაბუსების უმეტესობაში შუალედური გამოცდა გათვალისწინებული არ არის. სტუდენტები ფასდებიან მხოლოდ სხვადასხვა შუალედური აქტივობებისა და საბოლოო გამოცდის საფუძველზე. სწავლების შედეგების შეფასებისთვის სილაბუსებში აღწერილია შეფასების სხვადასხვა ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები (არგუმენტირებული ესე, პრეზენტაცია, შემთხვევის შესწავლა, პროექტი და სხვა). ისინი განსხვავდება კონკრეტული კურსის შინაარსის, მიზნებისა და სწავლის შედეგების მიხედვით. უმეტეს სასწავლო კურსში საბოლოო გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი დადგენილია მაქსიმალური ქულის 50%-ის ფარგლებში, რაც შედარებით მაღალი მაჩვენებელია. მიუხედავად ამისა, ეს სტანდარტი შესაბამისია სამაგისტრო საფეხურისთვის.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო სასწავლო მასალა ძირითადად ეფუძნება დარგის უახლეს მიღწევებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, ზოგიერთი სილაბუსის ძირითად ლიტერატურაში მოძველებული წყაროებიცაა მითითებული (მაგალითად: "დემოკრატიული მმართველობა და ანგარიშვალდებულება," "ეკონომიკური განვითარების რეფორმები და სტრატეგია" და სხვა), მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ლიტერატურაც მოცემულია მოძველებულ მასალასთან ერთად.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში)**

პროგრამაზე კურსების კრედიტებით დატვირთვა 4-დან 6 ECTS კრედიტამდე მერყეობს, რაც დამოკიდებულია კურსის საერთო სამუშაო დატვირთვაზე. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილება რაციონალურია. საკონტაქტო საათები (ლექციები, სემინარები / პრაქტიკული სამუშაო) საკმარისია სტუდენტთა სწავლისა და სწავლის შედეგების მიღწევის მხარდასაჭერად.

სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლება-სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა მოცემულია სილაბუსებში. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება. ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების შინაარსი ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, ზოგიერთი სასწავლო კურსის (შესავალი თანამედროვე ფინანსებში, ფინანსური აღრიცხვა, საერთაშორისო ფინანსები და გლობალური საფინანსო ბაზრები) შინაარსი უფრო საბაკალავრო საფეხურს შეესაბამება და საჭიროებს განახლებას, რათა მიესადაგოს სამაგისტრო საფეხურის სტანდარტებს. ასევე, ამ სილაბუსებში ზოგიერთი სწავლის შედეგი საჭიროებს გადახედვას, რათა სრულად შეესაბამებოდეს სამაგისტრო საფეხურს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასწავლო კურსების სილაბუსები არ მოიცავს შუალედურ და საბოლოო გამოცდებს. სტუდენტები ფასდებიან მხოლოდ სხვადასხვა შუალედური აქტივობების (მაქსიმუმ 65 ქულა) და საბოლოო პროექტის (მაქსიმუმ 35 ქულა) საფუძველზე. სწავლების შედეგების შეფასებისთვის სილაბუსებში აღწერილია შეფასების სხვადასხვა ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები (არგუმენტირებული ესე, პრეზენტაცია, შემთხვევის შესწავლა, პროექტი და სხვა). ისინი განსხვავდება კონკრეტული კურსის შინაარსის, მიზნებისა და სწავლის შედეგების მიხედვით. ყველა სავალდებულო კურსში შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 65 ქულიდან 21 ქულად არის განსაზღვრული, ხოლო საბოლოო გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 35 ქულიდან 20 ქულად, რაც შედარებით მაღალი მაჩვენებელია. მიუხედავად ამისა, ეს სტანდარტი შესაფერისია აღმასრულებელი სამაგისტრო საფეხურისთვის. სილაბუსებში მოცემულია საბოლოო პროექტის შეფასების კრიტერიუმები, თუმცა პროექტის შინაარსთან დაკავშირებით ინფორმაცია არ არის მოცემული. გაურკვეველია, როგორ ხდება პროექტის არჩევა? რომელ საკითხებზე უნდა გაამახვილოს ყურადღება სტუდენტმა? რა ფორმატი უნდა ჰქონდეს ნაშრომს? რომელი წყაროებია რეკომენდებული პროექტის მომზადებისას? რა მოცულობის უნდა იყოს ნაშრომი? სილაბუსი ამ და სხვა მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხს არ იძლევა.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო სასწავლო მასალა ძირითადად ეფუძნება დარგის უახლეს მიღწევებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში**

პროგრამის სასწავლო კურსების კრედიტებით დატვირთვა 4-დან 6 ECTS კრედიტამდე მერყეობს, რაც დამოკიდებულია კურსის საერთო სამუშაო დატვირთვაზე. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილება რაციონალურია. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილება რაციონალურია. საკონტაქტო საათები (ლექციები, სემინარები / პრაქტიკული სამუშაო) საკმარისია სტუდენტთა სწავლისა და სწავლის შედეგების მიღწევის მხარდასაჭერად.

სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლება-სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა მოცემულია სილაბუსებში.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება. ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების შინაარსი ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, ზოგიერთი კურსის შინაარსი და დასახელება მეტად უნდა იყოს თანხვედრაში. მაგალითად:

- სასწავლო კურსი „ლიდერობა და ორგანიზაციული დიზაინი“ მცირე ყურადღებას უთმობს ლიდერობის თემატიკას და ძირითადად კონცენტრირდება ორგანიზაციული დიზაინისა და ორგანიზაციული ლიდერობის საკითხებზე. მიუხედავად ამისა, სილაბუსის მიხედვით, კურსის დასრულების შემდეგ „სტუდენტი ავლენს ლიდერობის კომპეტენციას“ (მე-6 შედეგი). გარდა ამისა, სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა არ შეესაბამება კურსის შინაარსს და არ მოიცავს სილაბუსში ნახსენებ თემებს.
- სასწავლო კურსის „მარკეტინგი და ბრენდის სტრატეგია“ ყველა თემატიკა ბრენდინგს ეხება. ფაქტობრივად, ეს უფრო ბრენდის მენეჯმენტის კურსია. თუმცა, რადგან კურსის დასახელებაა „მარკეტინგი და ბრენდის სტრატეგია,“ ის ზოგადი მარკეტინგის კონცეფციებსაც უნდა მოიცავდეს. შესაბამისად, კურსის სწავლის შედეგები უნდა გადაიხედოს, რათა მარკეტინგის სფეროში ცოდნა და უნარები ეფექტიანად აისახოს შედეგებში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასწავლო კურსების სილაბუსები არ მოიცავს შუალედურ და საბოლოო გამოცდებს. სტუდენტები ფასდებიან მხოლოდ სხვადასხვა შუალედური აქტივობების (მაქსიმუმ 65 ქულა) და საბოლოო პროექტის (მაქსიმუმ 35 ქულა) საფუძველზე. სწავლების შედეგების შეფასებისთვის სილაბუსებში აღწერილია შეფასების სხვადასხვა ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები (არგუმენტირებული ესე, პრეზენტაცია, შემთხვევის შესწავლა, პროექტი და სხვა). ისინი განსხვავდება კონკრეტული კურსის შინაარსის, მიზნებისა და სწავლის შედეგების მიხედვით. ყველა სავალდებულო კურსში შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 65 ქულიდან 21 ქულად არის განსაზღვრული, ხოლო საბოლოო გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 35 ქულიდან 20 ქულად, რაც შედარებით მაღალი მაჩვენებელია. მიუხედავად ამისა, ეს სტანდარტი შესაფერისია აღმასრულებელი სამაგისტრო საფეხურისთვის. სილაბუსებში მოცემულია საბოლოო პროექტის შეფასების კრიტერიუმები, თუმცა პროექტის შინაარსთან დაკავშირებით ინფორმაცია არ არის მოცემული. გაურკვეველია, როგორ ხდება პროექტის არჩევა? რომელ საკითხებზე უნდა გაამახვილოს ყურადღება სტუდენტმა? რა ფორმატი უნდა ჰქონდეს ნაშრომს? რომელი წყაროებია რეკომენდებული პროექტის მომზადებისას? რა მოცულობის უნდა იყოს ნაშრომი? სილაბუსი ამ და სხვა მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხს არ იძლევა.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო სასწავლო მასალა ძირითადად ეფუძნება დარგის უახლეს მიღწევებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, ზოგიერთი სასწავლო კურსის სავალდებულო ლიტერატურა უნდა განახლდეს, რათა უკეთ შეესაბამებოდეს კურსის შინაარსს (ლიდერობა და ორგანიზაციული დიზაინი, მარკეტინგი და ბრენდის სტრატეგია, მსოფლიო დონის ადამიანური რესურსების განვითარება და სხვა).

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამა და სილაბუსები
- გასაუბრებები დაწესებულებაში ვიზიტის დროს

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**კლასტერის საერთო რჩევები:** არ არის მითითებული

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 1 - საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა**

**რეკომენდაცები: არ არის მითითებული**

**რჩევები: არ არის მითითებული**

**პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში)**

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია ზოგიერთი სასწავლო კურსის (თანამედროვე ფინანსების შესავალი, ფინანსური აღრიცხვა, საერთაშორისო ფინანსები და გლობალური საფინანსო ბაზრები) შინაარსის გადახედვა, რათა იგი სრულად შეესაბამებოდეს სამაგისტრო საფეხურს და სტუდენტებს შესაბამისი დონის ცოდნა და უნარები მიაწოდოს. ამ კურსების სწავლის შედეგებიც საჭიროებს გადახედვას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი შესაბამისობა სამაგისტრო საფეხურთან.

- რეკომენდებულია, სილაბუსებს დაემატოს დეტალური ინფორმაცია საბოლოო პროექტების შინაარსის შესახებ. სილაბუსებს უნდა დაემატოს ინფორმაცია პროექტის შერჩევის, სტუდენტის მიერ კონცენტრირების სფეროების, ნაშრომის ფორმატის, რეკომენდებული წყაროების მითითების, ნაშრომის სავალდებულო მოცულობის და სხვა მსგავსი საკითხების შესახებ

რჩევები: არ არის მითითებული

**პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში**

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, შესაბამისობაში მოვიდეს გარკვეული სასწავლო კურსების (ლიდერობა და ორგანიზაციული დიზაინი, მარკეტინგი და ბრენდის სტრატეგია) სახელწოდებები და შინაარსი. რეკომენდებულია, გადაიხედოს აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები, იმის უზრუნველსაყოფად, რომ კურსის შინაარსი ხელს უწყობს მათ მიღწევას.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს სილაბუსებში მოცემული სავალდებულო ლიტერატურა (ლიდერობა და ორგანიზაციული დიზაინი, მარკეტინგი და ბრენდის სტრატეგია, მსოფლიო დონის ადამიანური რესურსების განვითარება) სასწავლო მასალასთან თანხვედრის უზრუნველყოფის და სილაბუსებში მითითებული თემების დაფარვის მიზნით.

- რეკომენდებულია, სილაბუსებს დაემატოს დეტალური ინფორმაცია საბოლოო პროექტების შინაარსის შესახებ. სილაბუსებს უნდა დაემატოს ინფორმაცია პროექტის შერჩევის, სტუდენტის მიერ კონცენტრირების სფეროების, ნაშრომის ფორმატის, რეკომენდებული წყაროების მითითების, ნაშრომის სავალდებულო მოცულობის და სხვა მსგავსი საკითხების შესახებ.

რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

| კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 - საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების | ☐ | X | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აღმასრულებელი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში) | | | | |
| პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში | ☐ | X | ☐ | ☐ |

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან | შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში ი მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 - საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში | ☐ | X | ☐ | ☐ |

## 2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

## 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ- ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

---

წარდგენილი დოკუმენტაციის, თვითშეფასების ანგარიშისა და ადგილზე ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე ცხადია, რომ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების დაშვების წინაპირობები შეესაბამება კანონმდებლობასა და განათლების საფეხურს და საჯაროდ ხელმისაწვდომია. სამაგისტრო პროგრამებთან დაკავშირებული დაშვების პირობები და სხვა რელევანტური ინფორმაცია გამოქვეყნებულია როგორც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის, ისე უნივერსიტეტის ვებგვერდებზე. სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვა ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სტუდენტთა კვოტის განსაზღვრის წესების შესაბამისად. კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე გათვალისწინებულია უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესაძლებლობა როგორც მობილობით, ისე საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე.

დაშვების პირობები და პროცედურები გამჭვირვალეა, თუმცა სასურველია, რომ უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსდეს უფრო ამომწურავი ინფორმაცია მთლიანად სასწავლო პროცესისა და სხვადასხვა მარეგულირებელი პროცედურების შესახებ. მაგალითად, შეიძლება შეიქმნას ცალკე განყოფილება სამართლებრივი აქტებისთვის, რაც უნივერსიტეტის აკადემიურ პროცესებსა და ზოგად საქმიანობას კიდევ უფრო გამჭვირვალეს გახდის და გაადვილებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა**

საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის პროგრამაზე სწავლის უფლება ენიჭებათ პირებს, რომელთაც აქვთ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და რომლებიც ირიცხებიან სამაგისტრო პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდისა და უნივერსიტეტის შიდა გამოცდების შედეგების საფუძველზე. საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ კანდიდატები რეგისტრირდებიან ბრიტანული უნივერსიტეტის შიდა გამოცდებზე, რომელიც მოიცავს გასაუბრებას შერჩევის კომიტეტთან და ინგლისური ენის ცოდნის ტესტს.

გასაუბრების (ზეპირი გამოცდის) შეფასების კრიტერიუმები და საკითხები უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნდება ერთი თვით ადრე. ტესტი მაქსიმუმ 60 ქულით ფასდება, ხოლო მინიმალური ზღვარი შეადგენს 60%-ს, რაც 36 ქულას უტოლდება. გასაუბრება მაქსიმუმ 40 ქულით ფასდება, მისი მინიმალური ზღვარი კი 20 ქულაა. შეფასების კრიტერიუმები

დეტალურადაა მოცემული დოკუმენტში, სახელწოდებით: პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები.

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში) და პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამები ფინანსებსა და მენეჯმენტში სრულად ინგლისურ ენაზე ხორციელდება. ორივე პროგრამის დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია ბაკალავრის ხარისხი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური კვალიფიკაცია და მინიმუმ ხუთწლიანი პროფესიული გამოცდილება მენეჯმენტისა და ადმინისტრირების სფეროში.

კანდიდატები პროგრამებზე დაიშვებიან უნივერსიტეტის შიდა გამოცდების საფუძველზე (როგორც აღწერილია პირველი პროგრამის მიმოხილვაში) და ამ ორ პროგრამასთან დაკავშირებითაც შეფასების კრიტერიუმები დეტალურადაა წარმოდგენილი დოკუმენტში, სახელწოდებით „პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები“.

აღსანიშნავია, რომ ხუთწლიანი პროფესიული გამოცდილების მოთხოვნას შესაძლოა კანდიდატთა მოზიდვაზე უარყოფითი შედეგი ჰქონდეს. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამამ უნდა განსაზღვროს გამოცდილების უფრო დაბალი მინიმალური ზღვარი, მაგალითად, „მინიმუმ ორი წელი“. ეს გამოწვეულია იმით, რომ კონკრეტულ ორგანიზაციასა და პოზიციაზე ორი წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილება შესაძლოა უფრო ეფექტიანი და ყოვლისმომცველი იყოს, ვიდრე ხუთწლიანი გამოცდილება სხვა კომპანიაში. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატების პროფესიული გამოცდილება იყოს ბოლო უახლოესი პერიოდის და არ შეიცავდეს მნიშვნელოვან წყვეტებს.

რაც შეეხება დოკუმენტს „პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და შეფასების კრიტერიუმები“, ის წარმოდგენილია როგორც დამხმარე დოკუმენტი, რაც შესაძლოა გაუმართლებელი იყოს. უმჯობესია, თუ აღნიშნული დოკუმენტი ოფიციალურ ფორმატში იქნება წარმოდგენილი – მაგალითად, რექტორის ბრძანების ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის განკარგულების სახით, ანდა, მინიმუმ, ოფიციალურად უნდა იყოს აღიარებული როგორც პროგრამის დანართი.

ყოველივე ზემოთთქმულის გათვალისწნებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამებზე დაშვების წინაპირობები ძირითადად შეესაბამება მოთხოვნებს, თუმცა საჭიროა გარკვეული ხარვეზების გამოსწორება. ეს გულისხმობს: ყველა პროგრამისთვის – იმის უზრუნველყოფას, რომ „პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და შეფასების კრიტერიუმები“ ოფიციალურ ფორმატში იქნება წარმოდგენილი. მეორე და მესამე პროგრამებისთვის – დაშვების წინაპირობად 5-წლიანი სამუშაო გამოცდილების მოთხოვნის ნაცვლად, პროფესიული გამოცდილების მინიმალური ზღვრის დადგენას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრება და ადგილზე ვიზიტი
- პროგრამები
- პროგრამებზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები
- https://britishuni.edu.ge/ka/

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** რეკომენდებულია, "პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები" წარმოდგენილი იყოს ოფიციალური მარეგულირებელი დოკუმენტის სახით.

**კლასტერის საერთო რჩევები:**

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 1 - საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის სამაგისტრო პროგრამა**

**რეკომენდაციები: არ არის მითითებული**

**რჩევები: არ არის მითითებული**

**პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში)**

**რეკომენდაციები: არ არის მითითებული**

**რჩევები: არ არის მითითებული**

**პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში**

**რეკომენდაციები: არ არის მითითებული**

შეფასება

| 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში ი მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 - საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის<br><br>ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელიი ნგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელიი ნგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში | ☐ | X | ☐ | ☐ |

## 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, თვითშეფასების ანგარიშისა და ადგილზე ჩატარებული გასაუბრების მიხედვით, დადგინდა, რომ სამივე პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტთა პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებაზე, სწავლის შედეგების შესაბამისად. პროგრამის კომპონენტები მიზანმიმართულად არის შემუშავებული აღნიშნული უნარების გაძლიერებისა და განვითარებისთვის, რისთვისაც გამოიყენება როგორც უნივერსიტეტის, ისე იმ პარტნიორი ორგანიზაციების რესურსები, რომელთაც უნივერსიტეტთან შესაბამისი მემორანდუმები აქვთ გაფორმებული.  კვლევითი კომპონენტის ფარგლებში, სტუდენტებს

მხარს უჭერენ კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთაც შესაბამისი კვლევითი გამოცდილება აქვთ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამივე პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტთა ისეთი უნარების განვითარებას, როგორიცაა კომუნიკაცია, აკადემიური კეთილსინდისიერება და ავტონომიურობა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების უნარს, დამოუკიდებლად გამოიყენონ თავიანთი ცოდნა პრაქტიკაში პრობლემების გადაჭრისას. გარდა სასწავლო კომპონენტებისა, უნივერსიტეტს სტუდენტთა კვლევითი და პრაქტიკული უნარების შემდგომი განვითარების მიზნით შემოთავაზებული აქვს სხვადასხვა ექსტრაკურიკულარული აქტივობები, მაგალითად, იაპონური ენის კურსი და წიგნის კლუბი. აღნიშნული აქტივობები ასევე ხელს უწყობს სტუდენტთა ტრანსფერული უნარების განვითარებას. გარდა ამისა, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულენთან ურთიერთობების სამსახური მუდმივად აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და პროექტებზე.

პროგრამებში პრაქტიკული კომპონენტი წარმოდგენილია ინდივიდუალურ სასწავლო კურსებში ინტეგრირებული პრაქტიკის ელემენტებით. თუმცა, უნივერსიტეტი სტაჟირებას სავალდებულო კომპონენტად ტრადიციული გაგებით არ ითვალისწინებს, რაც სრულად გამართლებული არ არის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაცია მოცემულია 1.4 კომპონენტში, უნივერსიტეტს გააჩნია ამისათვის საჭირო რესურსები, რადგან მას მრავალი პარტნიორობა აქვს დამყარებული.

კვლევითი უნარების განვითარებას ხელს უწყობს სამაგისტრო ნაშრომი (საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის პროგრამაში) და პროექტი (დანარჩენ ორ პროგრამაში), რომელთა მიზანია, დაეხმაროს სტუდენტებს პროგრამის ფარგლებში შეძენილი თეორიული ცოდნის სისტემატიზებასა და მის პრაქტიკულ გამოცდილებასთან შერწყმაში. პროექტი ხორციელდება სამაგისტრო ნაშრომისა და პროექტის შესრულების პროცედურებს შესახებ უნივერსიტეტის მიერ დადგენილი რეგულაციების შესაბამისად. უნივერსიტეტს აქვს პოლიტიკა აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის, პლაგიატის პრევენციისა და გამოვლენის, ასევე შესაბამისი რეაგირების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული ინფორმაცია სტუდენტებს მიეწოდებათ კვლევებისა და პოლიტიკის განვითარების ინსტიტუტისა და ფაკულტეტის მიერ. გარდა ამისა, სტუდენტთა წერითი დავალებები და პროექტები მოწმდება პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი პროგრამებიდან ორი სრულიად ახალია და სტუდენტები ჯერ არ ჩარიცხულან, მაშინ როდესაც საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის პროგრამა უკვე ორი წელია მოქმედებს. შესაბამისად, ამ პროგრამებში სამეცნიერო საქმიანობა ჯერ კიდევ შეზღუდულია. თუმცა, 2022 წლიდან გაიმართა რამდენიმე ტრენინგი და ორი საერთაშორისო კონფერენცია, რომლებშიც მონაწილეობდნენ როგორც ბიზნესისა და მენეჯმენტის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები, ისე სხვა

პროგრამების წარმომადგენლები. წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში უნივერსიტეტი მომავალში გეგმავს სხვადასხვა აქტივობების, კონფერენციებისა და ვორქშოპების ორგანიზებას. გარდა ამისა, უნივერსიტეტი მხარს უჭერს სტუდენტების მონაწილეობას გაცვლით პროგრამებში და უზრუნველყოფს დაფინანსების შესაძლებლობებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში;
- ადგილზე ვიზიტი
- საგანმანათლებლო პროგრამები
- კურსების სილაბუსები
- თანამშრომლობის მემორანდუმი
- სამაგისტრო ნაშრომისა და პროექტის შესრულების რეგულაციები
- აკადემიური კეთილსინდისიერების შენარჩუნებისა და პლაგიატის თავიდან აცილების, ამოცნობისა და მასზე რეაგირების წესი

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

**კლასტერის საერთო რჩევები:** სასურველია, გაძლიერდეს სამეცნიერო კომპონენტი, დაიგეგმოს მეტი აქტივობა და ღონისძიება მათ შორის სტუდენტების აქტიური მონაწილეობით.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 1 - საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა**

**რეკომენდაცები:**

**რჩევები:**

**პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში)**

**რეკომენდაციები:**

რჩევები:

პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება

| კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 - საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება- წავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

წარდგენილი დოკუმენტაციის, თვითშეფასების ანგარიშისა და ადგილზე ჩატარებული გასაუბრების მიხედვით დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებულია სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები, რომლებიც სპეციალურად არის შერჩეული მათი თემატური შინაარსის შესაბამისად. აღნიშნული მეთოდები თანხვედრაშია კურსის დონესთან, მიზნებთან და შინაარსთან, რაც უზრუნველყოფს სილაბუსში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. გარდა ამისა, ამ მეთოდების ერთობლივი გამოყენება ხელს უწყობს პროგრამების ფართო სწავლის შედეგების მიღწევას.

უნივერსიტეტი ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, რათა დააკმაყოფილოს სტუდენტების მრავალფეროვანი საჭიროებები, სპეციალური საგანმანათლებლო მოთხოვნები და აკადემიური გამოცდილებები, რაც სტუდენტთა უწყვეტი ჩართულობის შესაძლებლობას იძლევა სასწავლო პროცესში. აღნიშნული გეგმები მოიცავს მოქნილ განრიგს, სწავლების შესაბამის მეთოდებსა და ინდივიდუალურ კონსულტაციებს ლექტორებთან.

სასწავლო კურსის მიზნების მისაღწევად საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს ლექციებისა და სემინარების კომბინაციას. ლექცია და ტუტორიალი ემსახურება ლექციებზე მიღებული ცოდნის გაღრმავებასა და განმტკიცებას.

ლექციებსა და ტუტორიალებში გამოიყენება შემდეგი აქტივობები:

- ვერბალური (ზეპირი) კომუნიკაცია
- გონებრივი იერიში,
- დისკუსია/ დებატები
- შემთხვევის ანალიზი,
- ახსნა/დაზუსტება
- საკომუნიკაციო სამუშაო
- წერითი სამუშაო,
- ჯგუფური (თანამშრომლობითი) სამუშაო; თანამშრომლობითი სწავლება; გუნდური მუშაობა
- წიგნზე მუშაობა
- როლური და სიტუაციური თამაშები
- დემონსტრირების მეთოდი
- მართული სწავლება
- ჯგუფური დისკუსიები
- ვიზუალური პრეზენტაციის მეთოდები
- დავალებების მომზადება
- ქმედებაზე დაფუძნებული სწავლა
- თანამშრომლობითი სწავლება
- მცირე მოცულობის ტესტები

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დისტანციური/ელექტრონული და შერეული სწავლება-სწავლის ადმინისტრირების პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფას პანდემიის ან სხვა ობიექტური გარემოებების შემთხვევაში.

ზემოთხსენებულის შესაბამისად, თითოეული პროგრამა აღწერს კურსის მიზნების მისაღწევად გამოყენებულ მეთოდებს, განსაკუთრებული აქცენტით სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში;
- ადგილზე ვიზიტი
- საგანმანათლებლო პროგრამები
- კურსების სილაბუსები

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული**

**კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული**

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 1 - საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის სამაგისტრო პროგრამა**

**რეკომენდაცები: არ არის მითითებული**

**რჩევები: არ არის მითითებული**

**პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში)**

**რეკომენდაციები: არ არის მითითებული**

**რჩევები: არ არის მითითებული**

პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

| კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები | შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში ი მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 - საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის სამაგისტრო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტუდენტების შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფორმით. ისინი ფასდებიან შუალედური და საბოლოო გამოცდებით. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ მაქსიმუმ 100 ქულა, ხოლო საგნის წარმატებით დასაძლევად აუცილებელია მინიმუმ 51 ქულის დაგროვება.

შეფასების კრიტერიუმები შემდეგია:

91-100 ქულა – ფრიადი (A)

81-90 ქულა – ძალიან კარგი (B)

71-80 ქულა – კარგი (C)
61-71 ქულა – დამაკმაყოფილებელი (D)
51-60 ქულა – საკმარისი (E)

არსებობს უარყოფითი შეფასების ორი ტიპი: თუ სტუდენტი იღებს 41-50 ქულას – ეს ნიშნავს, რომ სტუდენტმა ვერ ჩააბარა, თუმცა აქვს დამატებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა. თუმცა, თუ სტუდენტი მიიღებს 41 ქულაზე ნაკლებს – ასეთ შემთხვევაში, სტუდენტს აღარ ეძლევა გადაბარების შესაძლებლობა და მას უწევს კურსის ხელახლა გავლა.

რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომს, შეფასების კრიტერიუმები მოცემულია სილაბუსში. სტუდენტს აფასებენ ხელმძღვანელი, რეცენზენტი და ნაშრომის დაცვის კომისია.

სტუდენტების ნაშრომები მოწმდება პლაგიატზე. პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში ხელმძღვანელს შეუძლია არ შეაფასოს სტუდენტის ნამუშევარი. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაასაჩივრონ ლექტორის გადაწყვეტილება, თუმცა ამისთვის მათ მხოლოდ ორი დღე აქვთ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- გასაუბრება სტუდენტებთან
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**კლასტერის საერთო რჩევები:** არ არის მითითებული

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 1 - საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის სამაგისტრო პროგრამა**

**რეკომენდაცები: არ არის მითითებული**

**რჩევები: არ არის მითითებული**

**პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში)**

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

| კომპონენტი 2.4. - სტუდენტის შეფასება | შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში ი მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 - საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის სამაგისტრო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში | X | ☐ | ☐ | ☐ |

## პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების | შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ია | ნაწილობრივ შესაბამისობაში ია | არ არის შესაბამისობაში ი |
|---|---|---|---|---|

| შეფასების ადეკვატურობა | | მოთხოვნებთა ნ | მოთხოვნებთა ნ | მოთხოვნებთა ნ |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 - საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის სამაგისტრო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში პროგრამაში ან/და უსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისაგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

ბრიტანულ უნივერსიტეტში ვიზიტის დროს ექსპერტებს შესაძლებლობა ჰქონდათ შეხვედროდნენ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს. დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტები ჩართული იყვნენ თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის პროცესში. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ჩატარდა შეხვედრები, სადაც მათ საკუთარი რჩევების გაზიარების შესაძლებლობა ჰქონდათ.

საწყის ეტაპზე, პირველკურსელ სტუდენტებს უტარდებათ გაცნობითი შეხვედრები, სადაც ისინი იღებენ დეტალურ ინფორმაციას უნივერსიტეტისა და იმ სერვისების შესახებ, რომლითაც შეუძლიათ ისარგებლონ. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, მათთან გაგზავნილი ანონიმური კითხვარების საშუალებით შეაფასონ ლექტორები და სასწავლო კურსები. სტუდენტები ასევე იყენებენ პლატფორმას CANVAS, სადაც მათთვის საჭირო სასწავლო

მასალებია ხელმისაწვდომი. თუმცა, აღნიშნულ პლატფორმაზე სტუდენტებს არ აქვთ შუალედური შეფასებების ნახვის საშუალება,.

სტუდენტები ინფორმირებულნი არიან გასაჩივრების პროცესის შესახებ, თუმცა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ არასდროს დასჭირვებიათ შედეგების გასაჩივრება, რადგან მათი შეფასებები ორმაგად მოწმდება. აღსანიშნავია, რომ სტუდენტებს გამოცდის შედეგების მიღებიდან მხოლოდ ორი დღე აქვთ მათი გასაჩივრებისათვის. სტუდენტებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ ისარგებლონ საკონსულტაციო საათებით, რათა მიიღონ დამატებითი დახმარება ლექტორებისგან, გარდა ამისა, მათ აქვთ წინასწარ განსაზღვრული შეხვედრების გრაფიკი. ასევე, თითოეულ სტუდენტს ჰყავს მენტორი, რომელიც მათ სწავლების პროცესის ყველა საჭირო ასპექტში ეხმარება.

სტუდენტებს წვდომა აქვთ ბიბლიოთეკასა და საჭირო მასალებზე, უნივერსიტეტის შენობის ფარგლებს გარეთაც. რაც შეეხება კონფერენციებს, სტუდენტები იღებენ ინფორმაციას ლექტორებისგან და აქტიურად მონაწილეობენ მათში. სტუდენტებს ასევე შეუძლიათ ისარგებლონ სტიპენდიებით. ამისთვის მათ უნდა დაწერონ განცხადება, რომლის განხილვაც შემდეგ მოხდება.

უნივერსიტეტს აქტიური კომუნიკაცია აქვს კურსდამთავრებულებთან. მათ აქვთ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივ კავშირს კურსდამთავრებულებთან. უნივერსიტეტი თანამშრომლობს დამსაქმებლებთანაც და ითვალისწინებს მათგან მიღებულ უკუკავშირს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- გასაუბრება სტუდენტებთან
- გასაუბრება კურსდამთავრებულებთან
- თვითშეფასების ანგარიში.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არარის მითითებული

**კლასტერის საერთო რჩევები:**

- სასურველია, უნივერსიტეტს ჰქონდეს სტუდენტური პორტალი, რომელიც სტუდენტებს მიაწოდებს უფრო დეტალურ ინფორმაციას, როგორიცაა: გამოცდების ქულები, შუალედური შეფასებები, სწავლის საფასური, სერტიფიკატის მოთხოვნა.
- სასურველია, გამოცდების ქულების გასაჩივრებისთვის სტუდენტებს მიეცეთ 2 დღეზე მეტი ვადა.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 - საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაცები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

| კომპონენტი 3.1 - სტუდენტთა კონსულტირება და მათი მხარდამჭერის სერვისები | შესაბამისობაში ია მოთხოვნებთა ნ | მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთა ნ | ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთა ნ | არ არის შესაბამისობაში ი მოთხოვნებთა ნ |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 - საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის სამაგისტრო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების | X | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში** | | | | |

## 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში, სტუდენტებსა და ხელმძღვანელებს შორის თანაფარდობა იძლევა სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ შესრულების წინაპირობას.

სტუდენტები თავად ირჩევენ სამაგისტრო ნაშრომ სასურველ თემასა და ხელმძღვანელს, რის შემდეგაც ეს გადაწყვეტილება დამტკიცდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ. უნივერსიტეტს აქვს ხელმძღვანელებთან დაკავშირებული კონკრეტული რეგულაციები, და როდესაც სტუდენტი ირჩევს ლექტორს ხელმძღვანელად, ამ უკანასკნელის გამოცდილება და კვალიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ მოთხოვნებს. უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ ერთზე მეტი ხელმძღვანელი.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში სტუდენტები რეგულარულად მართავენ შეხვედრებს ხელმძღვანელებთან და, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ კონსულტაციის საათებით სარგებლობაც. სწავლის პროცესში ისინი გადიან ისეთ სასწავლო კურსებს, რომლებიც მათ სამაგისტრო ნაშრომის დასაწერად საჭირო უნარ-ჩვევებს უვითარებს, როგორიცაა კვლევითი უნარები.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის სამაგისტრო პროგრამა**

| **მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები**<br>პროგრამა 1 - საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა | |
|---|---|
| სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა | **29** |
| //სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა | **არ ეხება** |
| მაგისტრანტების რაოდენობა | **15** |

| | |
|---|---|
| დოქტორანტების რაოდენობა | **არ ეხება** |
| თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები | **არ ეხება** |
| თანაფარდობა - სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები/დოქტორანტები | **არ ეხება** |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- გასაუბრება სტუდენტებთან
- გასაუბრება პროგრამების ხელმძღვანელებთან
- თვითშეფასების ანგარიში

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**კლასტერის საერთო რჩევები:** არ არის მითითებული

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 1 - საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის სამაგისტრო პროგრამა**

**რეკომენდაცები: არ არის მითითებული**

**რჩევები: არ არის მითითებული**

**პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში)**

**რეკომენდაციები: არ არის მითითებული**

**რჩევები: არ არის მითითებული**

**პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში**

**რეკომენდაციები: არ არის მითითებული**

რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

| კომპონენტი 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 - საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის სამაგისტრო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში | X | ☐ | ☐ | ☐ |

## პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 - საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის სამაგისტრო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში) | X | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 2. 4სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, პირადი საქმეების (CV-ები, დიპლომები), თვითშეფასების ანგარიშისა და ადგილზე გამართული გასაუბრების საფუძველზე ნათლად იკვეთება, რომ პროგრამის ხელმძღვანელები თავიანთი სფეროს კვალიფიციური პროფესიონალები არიან. მათ აქვთ პროგრამის განვითარებისთვის საჭირო ცოდნა და უნარები და აქტიურად არიან ჩართული მის განხორციელებაში. პროგრამის ხელმძღვანელები ზედამხედველობას უწევენ პროგრამის განვითარებასა და განხორციელებას შეფასების შიდა მექანიზმების გამოყენებით.

გარდა ამისა, პროგრამებში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალიც კვალიფიციურ პროფესიონალები არიან, რომლებიც საქმიანობენ საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად. მათ აქვთ კომპეტენციები, რომლებიც აუცილებელია პროგრამის სწავლების შედეგების მისაღწევად. მათი რაოდენობა და სამუშაო დატვირთვა, მათ შორის სტუდენტებთან საკონსულტაციო საათები, საკმარისია პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო პროცესის ეფექტური განხორციელებისთვის.

უნივერსიტეტს დანერგილი აქვს სემესტრული დატვირთვის დეტალური სქემა კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, რაც შესაძლებელს ხდის მათი დატვირთვის მონიტორინგს. ასევე, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს მათ ყოველწლიურ ვალდებულებებს სწავლებისა და კვლევითი საქმიანობის კუთხით, თანამდებობის შესაბამისად. მათი პასუხისმგებლობები განსაზღვრულია უნივერსიტეტის რეგულაციებით და დეტალურად არის გაწერილი აკადემიური პერსონალის შრომით ხელშეკრულებებში.

პროგრამების ადმინისტრირებას ახორციელებს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ ფუნქციებს, რაც დადასტურებულია მათი პირადი საქმეებისა და სამუშაოს აღწერების საფუძველზე.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 - საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის სამაგისტრო პროგრამა**

საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის სამაგისტრო პროგრამას ხელმძღვანელობს აფილირებული ასოცირებული პროფესორი, რომელსაც 20-წლიანი მრავალმხრივი პროფესიული გამოცდილება აქვს მაღალი თანამდებობების დაკავების კუთხით საჯარო ინსტიტუციებში, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პოლიტიკურ ორგანიზაციებში.

სამაგისტრო პროგრამაში ჩართულია 29 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, მათ შორის 13 აკადემიური და 16 მოწვეული თანამშრომელი. უნივერსიტეტი იყენებს კადრების საჭიროების განსაზღვრის მეთოდოლოგიას, რაც 2022-2024 წლებისთვის უზრუნველყოფს აკადემიური და მოწვეული პერსონალის 40%/60% თანაფარდობის დაცვას, რითაც უზრუნველყოფილია პროგრამის მდგრადობა.

| პროგრამა 1 - საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის სამაგისტრო პროგრამა | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი) | პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა | მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი | მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| სულ აკადემიური პერსონალი | 29 | 29 | 5 | 10 |
| - პროფესორი | 2 | 2 | 1 | 1 |
| - ასოცირებული პროფესორი | 11 | 11 | 2 | 9 |
| - ასისტენტ–პროფესორი | 1 | 1 | - | - |
| - ასისტენტი | - | - | - | - |
| მოწვეული პერსონალი | 16 | 16 | 2 | _ |
| სამეცნიერო პერსონალი | - | - | - | _ |

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში)**

პროგრამას ახორციელებს აკადემიური (პროფესორები, ასოცირებული პროფესორები, ასისტენტ-პროფესორები) და მოწვეული პერსონალი, რომლებიც პროფესიული გამოცდილების გარდა, ასევე ფლობენ მნიშვნელოვან პედაგოგიურ გამოცდილებას. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება სამართლებრივ მოთხოვნებსა და ბრიტანული უნივერსიტეტის საკვალიფიკაციო სტანდარტებს. კონკრეტულად, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 12 თანამშრომელი, მათ შორის 6 აკადემიური და 6 მოწვეული პერსონალი.

| პროგრამა 2 (აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში) | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და | პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა | მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი | მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მოწვეული პერსონალი) | | | მქონე პერსონალი | |
| სულ აკადემიური პერსონალი | 12 | 12 | 5 | 3 |
| - პროფესორი | 1 | 1 | 1 | 1 |
| - ასოცირებული პროფესორი | 4 | 4 | 3 | 2 |
| - ასისტენტ–პროფესორი | 1 | 1 | - | - |
| - ასისტენტი | - | - | - | - |
| მოწვეული პერსონალი | 6 | 6 | 1 | _ |
| სამეცნიერო პერსონალი | - | - | - | _ |

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში)**

პროგრამას ახორციელებს აკადემიური (პროფესორები, ასოცირებული პროფესორები, ასისტენტ-პროფესორები) და მოწვეული პერსონალი, რომლებიც პროფესიული გამოცდილების გარდა, ფლობენ მნიშვნელოვან პედაგოგიურ ექსპერტიზას. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება სამართლებრივ მოთხოვნებსა და ბრიტანული უნივერსიტეტის საკვალიფიკაციო სტანდარტებს. კონკრეტულად, სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 11 თანამშრომელი, მათ შორის 4 აკადემიური და 7 მოწვეული პერსონალი.

| პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში) | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი) | პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა | მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი | მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სულ აკადემიური პერსონალი | 11 | 11 | 2 | 2 |
| - პროფესორი | 1 | 1 | 1 | 1 |
| - ასოცირებული პროფესორი | 2 | 2 | 1 | 1 |
| - ასისტენტ–პროფესორი | 1 | 1 | - | - |
| - ასისტენტი | - | - | - | - |
| მოწვეული პერსონალი | 7 | 7 | - | _ |
| სამეცნიერო პერსონალი | - | - | - | _ |

ზემოთ მოცემული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ცხადია, რომ უნივერსიტეტი პრიორიტეტს ანიჭებს ახალგაზრდა, მოტივირებული პროფესიონალების დასაქმებას, რაც დასაფასებელია. თუმცა, საგანმანათლებლო პროცესის ხარისხისა და ეფექტიანობის გაუმჯობესებისა და პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად საჭიროა შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

1. **აკადემიური და მოწვეული პერსონალს შორის ბალანსის დაცვა:** მოწვეულ და აკადემიურ პერსონალს შორის თანაფარდობა, აკადემიური პერსონალის სასარგებლოდ უნდა იყოს. მოწვეული პერსონალის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს უნივერსიტეტთან აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობას.
2. **აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა:** აუცილებელია აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდა.
3. **ახალი კადრების რეკრუტირება:** საჭიროა ახალი პროფესიონალების რეკრუტირება, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო კურსების დაბალანსებულ განაწილებას. ერთი ლექტორისთვის მრავალი კურსის დაკისრებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს როგორც სტუდენტების სასწავლო გამოცდილებაზე, ისე ლექტორის დატვირთვაზე.
4. **წინა აკრედიტაციის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება:** წინა აკრედიტაციის პროცესში გაცემული რეკომენდაცია დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის რაოდენობის ზრდის შესახებ ნაწილობრივ შესრულებულია. თუმცა, საჭიროა დამატებითი ძალისხმევა, რათა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი მეტად გაიზარდოს დოქტორის ხარისხის მქონე კვალიფიციური სპეციალისტებით.

ამ ნაბიჯების განხორციელება ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროცესის საერთო ხარისხის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში;
- ადგილზე ვიზიტი
- საგანმანათლებლო პროგრამა დანართებით
- პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
- კურსების სილაბუსები
- პროგრამაში ჩართული პერსონალის სამუშაო დატვირთვა
- პერსონალის ფუნქციები - სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეგულაციები, სამუშაო აღწერები, კონტრაქტის შაბლონები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** რეკომენდებულია შემდეგი აქტივობების განხორციელება:

- რეკომენდებულია მოწვეული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა იყოს აკადემიური პერსონალის სასარგებლოდ.
- რეკომენდებულია გაიზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა.
- კურსების დაბალანსებული განაწილების უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდებულია ახალი პროფესიონალების მოზიდვა და დაქირავება.
- რეკომენდებულია დამატებითი ზომების მიღება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის გასაძლიერებლად დოქტორის ხარისხის მქონე კვალიფიციური პროფესიონალების დაქირავების გზით.

**კლასტერის ზოგადი რჩევები: არ არის მითითებული**

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 1 - საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის სამაგისტრო პროგრამა**

**რეკომენდაცები: არ არის მითითებული**

**რჩევები: არ არის მითითებული**

**პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში)**

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

| კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსები | შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში ი მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 - საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის სამაგისტრო პროგრამა | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 - ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში | ☐ | X | ☐ | ☐ |

## 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

შეფასებისთვის წარდგენილი პროგრამებიდან, საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის პროგრამაში განსაზღვრულია სამაგისტრო ნაშრომი, ხოლო აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში და აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში - 'პროექტი' როგორც კომპონენტი. ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, ასევე "პროექტის" კომპონენტის სილაბუსი. ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ ნაშრომის ხელმძღვანელი უნდა იყოს კვალიფიციური, ჰქონდეს კვლევითი გამოცდილება და პუბლიკაციები შესაბამის სფეროში. "პროექტის" შემთხვევაში, პრიორიტეტულია პრაქტიკული გამოცდილება. კვლევითი ნაშრომის ტექნიკური ნაწილი ეფუძნება დოკუმენტს "ნაშრომის/პროექტის შესრულებისა და ტექნიკური მახასიათებლების ინსტრუქცია", რომელიც დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 22 ნოემბრის 03/12 გადაწყვეტილებით. სამაგისტრო პროექტის შესრულების გზამკვლევის დოკუმენტი არეგულირებს ხელმძღვანელის დამტკიცებასა და სხვა პროცედურულ საკითხებს.

ასევე, დაწესებულებამ არგუმენტირებულ დასკვნასთან ერთად დამატებით წარმოადგინა სამაგისტრო ნაშრომის პოტენციური ხელმძღვანელების რეზიუმეები, რომლის საფუძველზეც ხელახლა შეფასდა პოტენციური ხელმძღვანელების მონაცემები და შეივსო კომპონენტის ცხრილი.

| პროგრამა 1 (საჯარო პოლიტიკა და მმართველობა, სამაგისტრო პროგრამა, საფეხური 7) | | | |
|---|---|---|---|
| **სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა** | ნაშრომების ხელმძღვანელები | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები [7] | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| **სულ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა** | **11** | **8** | **7** |
| **- პროფესორი** | 2 | 2 | 2 |
| **- ასოცირებული პროფესორი** | 7 | 7 | 7 |
| **- ასისტენტ–პროფესორი** | | | |
| **მოწვეული პერსონალი** | 2 | 1 | _ |
| **სამეცნიერო პერსონალი** | | | _ |

[7] საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ნაშრომების ხელმძღვანელები

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (საჯარო პოლიტიკა და მმართველობა, მაგისტრატურა, საფეხური 7)

სამაგისტრო პროექტის ხელმძღვანელი ეხმარება სტუდენტს კვლევითი პროექტის შემუშავებაში, წყაროების შერჩევაში, საკვლევი პრობლემის განსაზღვრაში, საკვლევი კითხვებისა და ჰიპოთეზების ფორმულირებაში და აწვდის ზოგად მითითებებს სფეროში არსებულ გამოწვევებსა და შესაბამის სფეროში კვლევის ჩატარების შესახებ.

ხელმძღვანელი წერს პროექტის განხორციელების დასკვნას და განსაზღვრავს, თუ როდის წარედგინება დასრულებული პროექტი რეცენზენტს. ხელმძღვანელი უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას სამაგისტრო პროექტის შეფასების კრიტერიუმების შესახებ და აცნობს ბრიტანული უნივერსიტეტის "სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის შესრულების სახელმძღვანელო და ტექნიკურ მახასიათებლებს", რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს პროექტი.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისადმი წაყენებული მოთხოვნები წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის.

ინტერვიუირების პროცესში აღინიშნა, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ბრიტანული უნივერსიტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, რომ სამაგისტრო ნაშრომების პოტენციურ ხელმძღვანელებს აქვთ თანამედროვე ცოდნა, ხშირად – მიღწეული აქვთ მაღალი კვალიფიკაცია საზღვარგარეთ და კარიერული თვალსაზრისით არიან წარმატებული პროფესიონალები. ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები, ვინაიდან დაწესებულებას კონკრეტულად არ ჰქონდა წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომების თუ პროექტების პოტენციურ ხელმძღვანელთა სია. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში წარმოდგენილია არასრული ინფორმაცია: ან პუბლიკაციები არ არის მითითებული, ან მათი მითითებისას დარღვეულია აკადემიური სტანდარტი.

მოცემული დარგის სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, პოტენციური სამეცნიერო ხელმძღვანელები აქტიურად მონაწილეობდნენ სამეცნიერო კვლევებში და აქვთ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიმართულებას. აღსანიშნავია, რომ საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის პროგრამაზე სამაგისტრო ნაშრომების დაცვა ჯერ არ განხორციელებულა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სამაგისტრო პროექტის შესრულების გზამკვლევი;
- ნაშრომი/პროექტის შესრულების ინსტრუქციები და ტექნიკური მახასიათებლები;
- ინტერვიუს შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული**

**კლასტერის საერთო რჩევები:**

- სასურველია, დაწესებულების შესაბამისმა სტრუქტურამ ყურადღება გაამახვილოს პერსონალის პირადი საქმეების მოწესრიგებაზე ინფორმაციის სრულად ასახვის მიზნით.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 1 ("საჯარო პოლიტიკა და მმართველობა", სამაგისტრო პროგრამა, მეშვიდე დონე)**

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს სამეცნიერო ხელმძღვანელის / თანახელმძღვანელის მოთხოვნების გამჭვირვალე საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლებიც შეესაბამება სამაგისტრო დონის მოთხოვნებს და ასახავს პროგრამის სპეციფიკას და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

**რჩევ(ებ)ი: არ არის მითითებული**

**პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში", მეშვიდე დონე)**

**რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის მითითებული**

**რჩევ(ებ)ი: არ არის მითითებული**

**პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში", მეშვიდე დონე)**

**რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის მითითებული**

**რჩევ(ებ)ი: არ არის მითითებული**

შეფასება

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კომპონენტი 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის | შესაბამისობაშია | მეტწილად შესაბამისობაშია | ნაწილობრივ შესაბამისობაშია | არ არის შესაბამისობაში |

| ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | მოთხოვნებთან | მოთხოვნებთან | მოთხოვნებთან | მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 ("საჯარო პოლიტიკა და მმართველობა", სამაგისტრო პროგრამა, მეშვიდე დონე) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში", მეშვიდე დონე) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში", მეშვიდე დონე) | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო / კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

---

შეფასებისთვის წარმოდგენილი მასალებისა და აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებების შედეგების საფუძველზე დადგინდა, რომ ბრიტანულმა უნივერსიტეტმა საქართველოში შეიმუშავა პერსონალის სამეცნიერო კვლევისა და პროფესიული საქმიანობის შეფასების პროცედურა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობის პროდუქტიულობის ზრდას, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასა და პროფესიონალიზმის გაუმჯობესებას. უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით შეიქმნა კვლევებისა და პოლიტიკის განვითარების ინსტიტუტი. ყოველი აკადემიური წლის დასაწყისში, აკადემიურ და აფილირებულ პერსონალთან ინდივიდუალური შეთანხმების საფუძველზე, ინსტიტუტი შეიმუშავებს პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და პროფესიული საქმიანობის ინდივიდუალურ გეგმას. აკადემიური წლის განმავლობაში სულ მცირე ერთხელ, აღნიშნული ინსტიტუტი ახორციელებს ინდივიდუალური გეგმების შესრულების მონიტორინგს, აკადემიური პერსონალის დამატებითი საჭიროებების გამოვლენისა და მხარდაჭერის მიზნით. აკადემიური პერსონალი ვალდებულია აკადემიური წლის ბოლოს წარმოადგინოს

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინდივიდუალური გეგმის შესრულების ანგარიში. მოწვეული პერსონალის პროფესიული საქმიანობა ფასდება პროფესიული საქმიანობის შეფასების ანგარიშის საფუძველზე. აკადემიური წლის ბოლოს მოწვეულმა პერსონალმა უნდა წარმოადგინოს პროფესიული საქმიანობის შესრულების ანგარიში. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრული და წლიური შეფასების შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ რეაგირებისათვის ეგზავნება ფაკულტეტის დეკანს, პროგრამის ხელმძღვანელს და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების ანალიზს კვლევებისა და პოლიტიკის განვითარების ინსტიტუტი შემდგომი რეაგირებისათვის წარუდგენს რექტორის მოადგილეს და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს. ასევე, გასაცნობად ეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. აღნიშნული წესის მოქმედება დადასტურდა გასაუბრების პროცესში.

ბრიტანული უნივერსიტეტი ასევე, ყოველ სემესტრში შესაბამისი კითხვარების გამოყენებით აფასებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიურ საქმიანობას, კერძოდ: დეკანის მიერ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით; პროგრამის ხელმძღვანელის მიერ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით; სტუდენტის მიერ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით. სემესტრული შეფასება გამოითვლება თითოეული მხარის მიერ მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის წლიური შეფასების მიზნით, სემესტრული შეფასების შედეგები გაანალიზებულია დინამიკაში. ამ საკითხის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, ფაკულტეტის დეკანი პასუხისმგებელია კვლევის შედეგებზე რეაგირების დაგეგმვასა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებაზე.

შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის და პერსონალის დაწინაურებისა და წახალისების მექანიზმების გამოყენებისას. თვითშეფასების ანგარიშს თან ერთვის ინფორმაცია კვლევითი გრანტებისა და ღონისძიებების შესახებ, რომელთა მეშვეობითაც უნივერსიტეტი ხელს უწყობს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის, მათ შორის მაგისტრანტის ხელმძღვანელების მონაწილეობას საერთაშორისო პროექტებში, კვლევებსა და კონფერენციებში. გარდა ამისა, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები იგეგმება და ხორციელდება პარტნიორ ბუკინგემის უნივერსიტეტთან ერთად.

უნივერსიტეტში შექმნილია საჭირო პირობები აკადემიური, სამეცნიერო და/ან მოწვეული პერსონალის მიერ კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობისთვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინდივიდუალური სამუშაო გეგმები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინდივიდუალური სამუშაო გეგმების შესრულების ანგარიშების ანალიზი;

- სტუდენტთა გამოკითხვის ფორმები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრების შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**კლასტერის საერთო რჩევები:** არ არის მითითებული

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

პროგრამა 1 ("საჯარო პოლიტიკა და მმართველობა", სამაგისტრო პროგრამა, მეშვიდე დონე)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის მითითებული

რჩევ(ებ)ი: არ არის მითითებული

პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში", მეშვიდე დონე)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის მითითებული

რჩევ(ებ)ი: არ არის მითითებული

პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში", მეშვიდე დონე)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის მითითებული

რჩევ(ებ)ი: არ არის მითითებული

შეფასება

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კომპონენტი 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის | შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ია | ნაწილობრივ შესაბამისობაში ია | არ არის შესაბამისობაში ი |

| პროფესიული განვითარება | | მოთხოვნებთან | მოთხოვნებთან | მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (საჯარო პოლიტიკა და მმართველობა, მაგისტრატურა, საფეხური 7) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში", მეშვიდე დონე) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში", მეშვიდე დონე) | X | ☐ | ☐ | ☐ |

### 4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში დაათვალიერა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა. თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება რეალურ მდგომარეობას. პროგრამები უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური, ლაბორატორიული, საინფორმაციო და ციფრული რესურსებით, რომლებიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

უნივერსიტეტი ზრუნავს პროგრამის ბიბლიოთეკის, მატერიალური, საინფორმაციო და ციფრული რესურსების განახლებაზე. სილაბუსებში არსებული ლიტერატურა ყოველ სემესტრში გადაიხედება და ხდება განახლებული ლიტერატურის შეძენა. პროგრამის სასწავლო მასალები ახალი პროგრამებისთვის წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში, გარდა რამდენიმე წიგნისა, რომელთა შესყიდვის მოთხოვნაც გაგზავნილია. ლიტერატურით უზრუნველყოფას ახორციელებს ბუკინგემის უნივერსიტეტი. სასწავლებელმა წარმოადგინა წიგნების შესყიდვის ხელშეკრულება შპს ინგლიშ ბუქ ედუქეიშენსა და უნივერსიტეტს შორის,

რომლის თანახმადაც შეძენილი პროდუქცია მიწოდებული უნდა იყოს 2024 წლის 20 დეკემბრამდე. ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები (მათ შორის ელექტრონულ მატარებელზე), რომლებიც წარმოდგენილი იქნა. სტუდენტებს ასევე აქვთ წვდომა თანამედროვე სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებზე, ციფრულ რესურსებსა და ცალკეულ საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე, რაც მათ საშუალებას აძლევს სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით გაეცნონ შესაბამისი დარგის თანამედროვე სამეცნიერო მონაცემებს. 2024 წლის იანვრიდან ბრიტანულმა უნივერსიტეტმა თანამშრომლობა დაიწყო თსუ-ს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან. სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ წვდომა სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე, როგორიცაა: Cambridge Journals Online, e-Duke Journals Scholarly Collection, Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books, SAGE Journals, Royal Society Journals Collection  წვდომა შესაძლებელია ნებისმიერი ადგილიდან. სხვა ზემოთ აღნიშნული მონაცემთა ბაზების გარდა, უნივერსიტეტის სტუდენტებსა და თანამშრომლებს შეუძლიათ ისარგებლონ ღია წვდომის საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებით (JSTOR; EBSCO; Science Direct; Duke Press; Open Edition; Science Open; DOAB; DOAJ; Thomson Reuters; Sage Journals; SSRN; BASE; ERIC; JURN). თუმცა, აკრედიტაციის ვიზიტის დროს გაირკვა, რომ უნივერსიტეტს არ აქვს წვდომა ისეთ მოწინავე სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე, როგორიცაა SCOPUS, WEB OF SCIENCE, ECONLIT და ა.შ. მათ რამდენჯერმე მიმართეს საქართველოს შესაბამის სააგენტოს ზემოაღნიშნულ სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებთან დაკავშირებით, თუმცა უშედეგოდ. მატერიალური, ლაბორატორიული, საინფორმაციო და ციფრული რესურსები თავისუფლად ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობისა და მათი გამოყენების წესების შესახებ. საბიბლიოთეკო რესურსების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ სასწავლო წლის დასაწყისში. ინფორმაცია ასევე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

უნივერსიტეტს, სასწავლო აუდიტორიების გარდა, გააჩნია სტუდენტური სივრცეები, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური სამუშაოს შესრულება. ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები და აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით, რაც ქმნის თანამედროვე სწავლა-სწავლების მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას.

უნივერსიტეტს გააჩნია კარგად აღჭურვილი დამხმარე სივრცე, უწყვეტი ელექტრომომარაგების წყარო და ინტერნეტთან წვდომა ყველა სივრცეში, რაც ქმნის სწავლა-სწავლების უწყვეტ და სასურველ გარემოს. აუდიტორიები ასევე აღჭურვილია მონიტორებითა და პროექტორებით. ეს სისტემა საშუალებას აძლევს სტუდენტებსა და პერსონალს უსაფრთხოდ დაამყარონ დისტანციური კომუნიკაცია და მოიპოვონ და მიიღონ სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაცია. უნივერსიტეტს აქვს ორენოვანი ვებ-გვერდი - ქართული და ინგლისური. ვებ-გვერდზე მოცემულია ყველა საჭირო ინფორმაცია. უნივერსიტეტმა 2023 წლის გაზაფხულზე დაიწყო Canvas-ის ელექტრონული სწავლების მართვის სისტემის დანერგვა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (საჯარო პოლიტიკა და მმართველობა, მაგისტრატურა, საფეხური 7)

აღნიშნული კომპონენტის მიმოხილვა კონკრეტული პროგრამისთვის ვრცელდება აღწერილობის ზოგადი ნაწილის ინფორმაციაზე. სასწავლებელს შექმნილი აქვს პროგრამის ხარისხიანი განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური და რესურსული წინაპირობები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- მტკიცებულება;
- თვითშეფასების ანგარიში;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმების შედეგები;
- გასაუბრებების შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** **არ არის მითითებული**

**კლასტერის საერთო რჩევები:**

სასურველია, უნივერსიტეტმა მოიძიოს გზები იმისათვის, რომ უზრუნველყოს წვდომა მაღალრეიტინგულ ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 1 (საჯარო პოლიტიკა და მმართველობა, მაგისტრატურა, საფეხური 7)**

**რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის მითითებული**

**რჩევ(ებ)ი: არ არის მითითებული**

**პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში", მეშვიდე დონე)**

**რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის მითითებული**

**რჩევ(ებ)ი: არ არის მითითებული**

პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში", მეშვიდე დონე))

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის მითითებული

რჩევ(ებ)ი: არ არის მითითებული

შეფასება

| კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსები | შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ | ნაწილობრივ შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ | არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთა ნ |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (საჯარო პოლიტიკა და მმართველობა, მაგისტრატურა, საფეხური 7) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში", მეშვიდე დონე) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში", მეშვიდე დონე) | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

პროგრამის ბიუჯეტი შედგენილია ერთიანი ფორმატით და მისი მუხლები განზოგადებულია. ბიუჯეტში არ არის დაკონკრეტებული სტუდენტური აქტივობების, მათი კონფერენციების ხარჯები; ელექტრონული ბაზების შეძენის, ასევე პროგრამის ადმინისტრირების ხარჯები;

პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების სამუშაოების, პროგრამის ცნობადობის ამაღლების (საქართველოსა და საზღვარგარეთ) ბეჭდვა-გამოცემის ხარჯები და სხვ. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და თვითშეფასების ჯგუფთან გასაუბრების პროცესში დაისვა კითხვა ბიუჯეტის შედგენის პროცესთან და მის დამტკიცებასთან დაკავშირებით. ფინანსური დეპარტამენტის მენეჯერმა აღნიშნა, რომ საჭიროებები განიხილება ადმინისტრაციულ ერთეულებთან ერთად და ბიუჯეტი შესაბამის ფორმატში იწერება. ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა ინფორმაცია დაკონკრეტებული საბიუჯეტო მუხლების მიხედვით. დადგინდა, რომ პროგრამისთვის ბიუჯეტში გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილში მხოლოდ სწავლის საფასურიდან მიღებული შემოსავლებია დაფიქსირებული.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (საჯარო პოლიტიკა და მმართველობა, მაგისტრატურა, საფეხური 7)**

პროგრამის პირველი წლის ბიუჯეტი შეადგენს 180,000.00 ლარს. პროგრამის ბიუჯეტი შედგენილია ერთიანი ფორმატით და მისი მუხლები განზოგადებულია. ბიუჯეტში არ არის დაკონკრეტებული სტუდენტური აქტივობების, მათი კონფერენციების ხარჯები; ელექტრონული ბაზების შეძენის, ასევე პროგრამის ადმინისტრირების ხარჯები; პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების სამუშაოების, პროგრამის ცნობადობის ამაღლების (საქართველოსა და საზღვარგარეთ) ბეჭდვა-გამოცემის ხარჯები და სხვ. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და თვითშეფასების ჯგუფთან გასაუბრების პროცესში დაისვა კითხვა ბიუჯეტის შედგენის პროცესთან და მის დამტკიცებასთან დაკავშირებით. ფინანსური დეპარტამენტის მენეჯერმა აღნიშნა, რომ საჭიროებები განიხილება ადმინისტრაციულ ერთეულებთან ერთად და ბიუჯეტი შესაბამის ფორმატში იწერება. ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა ინფორმაცია დაკონკრეტებული საბიუჯეტო მუხლების მიხედვით. დადგინდა, რომ პროგრამისთვის ბიუჯეტში გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილში მხოლოდ სწავლის საფასურიდან მიღებული შემოსავლებია დაფიქსირებული.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში", მეშვიდე დონე)**

პროგრამის პირველი წლის ბიუჯეტი შეადგენს 197,000.00 ლარს. პროგრამის ბიუჯეტი შედგენილია ერთიანი ფორმატით და მისი მუხლები განზოგადებულია. ბიუჯეტში არ არის დაკონკრეტებული სტუდენტური აქტივობების, მათი კონფერენციების ხარჯები; ელექტრონული ბაზების შეძენის, ასევე პროგრამის ადმინისტრირების ხარჯები; პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების სამუშაოების, პროგრამის ცნობადობის ამაღლების (საქართველოსა და საზღვარგარეთ) ბეჭდვა-გამოცემის ხარჯები და სხვ. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და თვითშეფასების ჯგუფთან გასაუბრების პროცესში დაისვა კითხვა ბიუჯეტის შედგენის პროცესთან და მის დამტკიცებასთან დაკავშირებით. ფინანსური

დეპარტამენტის მენეჯერმა აღნიშნა, რომ საჭიროებები განიხილება ადმინისტრაციულ ერთეულებთან ერთად და ბიუჯეტი შესაბამის ფორმატში იწერება. ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა ინფორმაცია დაკონკრეტებული საბიუჯეტო მუხლების მიხედვით. დადგინდა, რომ პროგრამისთვის ბიუჯეტში გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილში მხოლოდ სწავლის საფასურიდან მიღებული შემოსავლებია დაფიქსირებული.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში", მეშვიდე დონე)**

პროგრამის პირველი წლის ბიუჯეტი შეადგენს 197,000.00 ლარს. პროგრამის ბიუჯეტი შედგენილია ერთიანი ფორმატით და მისი მუხლები განზოგადებულია. ბიუჯეტში არ არის დაკონკრეტებული სტუდენტური აქტივობების, მათი კონფერენციების ხარჯები; ელექტრონული ბაზების შეძენის, ასევე პროგრამის ადმინისტრირების ხარჯები; პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების სამუშაოების, პროგრამის ცნობადობის ამაღლების (საქართველოსა და საზღვარგარეთ) ბეჭდვა-გამოცემის ხარჯები და სხვ. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და თვითშეფასების ჯგუფთან გასაუბრების პროცესში დაისვა კითხვა ბიუჯეტის შედგენის პროცესთან და მის დამტკიცებასთან დაკავშირებით. ფინანსური დეპარტამენტის მენეჯერმა აღნიშნა, რომ საჭიროებები განიხილება ადმინისტრაციულ ერთეულებთან ერთად და ბიუჯეტი შესაბამის ფორმატში იწერება. ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა ინფორმაცია დაკონკრეტებული საბიუჯეტო მუხლების მიხედვით. დადგინდა, რომ პროგრამისთვის ბიუჯეტში გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილში მხოლოდ სწავლის საფასურიდან მიღებული შემოსავლებია დაფიქსირებული.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- პროგრამის ბიუჯეტი;
- გასაუბრების შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**კლასტერის საერთო რჩევები:**

სასურველია, გადაიხედოს ბიუჯეტი პროგრამის განვითარების საჭიროებების შესაბამისად საბიუჯეტო მუხლების დაკონკრეტების მიზნით და წარმოდგენილი იყოს პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროები, როგორც პერიოდული, ასევე ერთჯერადი.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 ("საჯარო პოლიტიკა და მმართველობა", სამაგისტრო პროგრამა, მეშვიდე დონე)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის მითითებული

რჩევ(ებ)ი: არ არის მითითებული

პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში", მეშვიდე დონე)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის მითითებული

რჩევ(ებ)ი: არ არის მითითებული

პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში", მეშვიდე დონე)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის მითითებული

რჩევ(ებ)ი: არ არის მითითებული

შეფასება

| კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა ("საჯარო პოლიტიკა და მმართველობა", სამაგისტრო პროგრამა, მეშვიდე დონე) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფინანსებში", მეშვიდე დონე) | | | | |
| პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში", მეშვიდე დონე) | X | ☐ | ☐ | ☐ |

### პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში ი მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (საჯარო პოლიტიკა და მმართველობა, მაგისტრატურა, საფეხური 7) | ☐ | X | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში, საფეხური 7) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში, საფეხური 7) | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

## 5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

---

უსდ-ში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები განსაზღვრული და რეგულირებულია "ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით", რომელიც მოიცავს: საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასებას, მომსახურებისა და რესურსების შეფასებას, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასებას, კვლევითი და სხვა საქმიანობის შეფასებას, ორგანიზაციული მართვის ეფექტიანობის შეფასებას, საზოგადოების განვითარებაში უნივერსიტეტის მიერ შეტანილი წვლილის შეფასებას.

საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებ(ებ)ის შეტანისა და გაუქმების წესი, რომელიც განსაზღვრავს შეფასების ინსტრუმენტებს, შეფასების სფეროს და პერიოდულობას. იგივე მიდგომაა შემუშავებული დაწესებულების მიერ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ყველა შეფასების მექანიზმთან მიმართებაში. საგანმანათლებლო პროგრამები ექვემდებარება პერიოდულ მონიტორინგს/შეფასებას. შესაბამისად, შიდა ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს სასწავლო პროგრამების, მომსახურებისა და რესურსების სისტემურ კვლევებსა და შეფასებებს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები კოორდინირებულია ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის დონეზე და მიზნად ისახავს უნივერსიტეტში მიმდინარე ყველა ძირითადი პროცესის შეფასებას ყოველწლიური გამოკითხვების საშუალებით, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, შეფასების შედეგების ანალიზის გზით, რათა უზრუნველყოფილ იქნას ეფექტიანი მონიტორინგი, მიზნების განსაზღვრა და განვითარების ტენდენციების ჩამოყალიბება. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა დაფუძნებულია „დაგეგმე-შეასრულე-შეამოწმე-იმოქმედე“ PDCA პრინციპზე. პროცესი გულისხმობს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების პროცესში, რადგან უნივერსიტეტი პრიორიტეტს ანიჭებს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობას შიდა ხარისხის შეფასების პროცესში.

აკრედიტაციის ვიზიტის შედეგებისა და წარმოდგენილი დოკუმენტების შეფასების შესაბამისად, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტში პროგრამის შეფასება თანმიმდევრულია და შეფასების შედეგები ძირითადად გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს და ხელს უწყობს პროგრამის პერსონალის ჩართულობას, რათა უზრუნველყოს შეფასების კონსტრუქციული პროცესი. შესაბამისად, თვითშეფასების ანგარიში მზადდება აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობით. ვინაიდან უნივერსიტეტს არ ჰყავს კურსდამთავრებულები და სტუდენტები საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის

სამაგისტრო პროგრამაზე და ორი სხვა პროგრამა სრულიად ახალია, შეიძლება დადასტურდეს, რომ თვითშეფასების პროცესში ჩართულები იყვნენ მონათესავე პროგრამების სტუდენტები.

ხარისხის შიდა შეფასების პროცესში გამოიყენება საჭიროებასა და აუცილებლობაზე დაფუძნებული შეფასების გამოკითხვები, რათა მიზანმიმართულად გამოვლინდეს პრობლემები და უზრუნველყოფილი იყოს ჩარევა ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ეს გამოკითხვები მიმართულია სტუდენტების კმაყოფილებისა და სურვილების გამოვლენისკენ, ასევე, სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების ყოველწლიური გამოკითხვები ტარდება პროგრამების ზოგადი ადმინისტრირებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის შესაფასებლად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესები და პროცედურები;
- გამოკითხვის ფორმები და შედეგები;
- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

**პროგრამა 1 ("საჯარო პოლიტიკა და მმართველობა", სამაგისტრო პროგრამა, მეშვიდე დონე)**

**რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის მითითებული**

**რჩევ(ებ)ი: არ არის მითითებული**

**პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში", მეშვიდე დონე)**

**რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის მითითებული**

**რჩევ(ებ)ი: არ არის მითითებული**

პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში", მეშვიდე დონე)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის მითითებული

რჩევ(ებ)ი: არ არის მითითებული

შეფასება

| კომპონენტი 5.1 შიდა ხარისხის შეფასება | შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში ი მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 ("საჯარო პოლიტიკა და მმართველობა", სამაგისტრო პროგრამა, მეშვიდე დონე) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში", მეშვიდე დონე) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში", მეშვიდე დონე) | X | ☐ | ☐ | ☐ |

## 5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

ბრიტანული უნივერსიტეტის საქართველოში მიერ განსაზღვრული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს გარე შეფასების შემდეგ მეთოდებს: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებულ აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესებს, საერთაშორისო ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ პროგრამულ და ინსტიტუციურ შეფასებას, ადგილობრივი ან საერთაშორისო

ექსპერტის მიერ გარე კოლეგიალურ შეფასებას და პარტნიორი ბუკინგემის უნივერსიტეტის მიერ კოორდინირებულ შეფასებას. უნივერსიტეტი ზოგადად განიხილავს რეკომენდაციებსა და რჩევებს და შედეგები წარმოდგენილია შემდგომი განხილვისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს გატარებული ღონისძიებების შესაბამისობას მიღებულ რეკომენდაციებთან.

მიუხედავად იმისა, რომ აღმასრულებელი მაგისტრატურის პროგრამები ახალია, საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის სამაგისტრო პროგრამამ მიიღო აკრედიტაცია 2024 წელს (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება # 634515). პროგრამის გუნდმა გაითვალისწინა წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული ყველა რეკომენდაცია და შეიტანა ცვლილებები სასწავლო პროგრამაში, განაახლა ლიტერატურა და სხვა შესაბამისი მატერიალური რესურსები და იმუშავა ადამიანური რესურსების გამდიდრებაზე შესაბამისი სფეროს დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალით.

უფრო მეტიც, კლასტერში გაერთიანებული პროგრამები შეფასებულ იქნა სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი ადგილობრივი კოლეგების მიერ. ექსპერტებმა სასწავლო პროგრამა, აკადემიური პერსონალი, რესურსები და დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან შესაბამისობა ძლიერ მხარეებად დაასახელეს. აგრეთვე, იდენტიფიცირებული რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა პროგრამების აკრედიტაციისთვის მომზადების პროცესში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესები და პროცედურები;
- გარე კოლეგიალური შეფასებები;
- გამოკითხვის ფორმები და შედეგები;
- გასაუბრების შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**კლასტერის საერთო რჩევები:** არ არის მითითებული

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული**

**პროგრამა 1 ("საჯარო პოლიტიკა და მმართველობა", სამაგისტრო პროგრამა, მეშვიდე დონე)**

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის მითითებული

რჩევ(ებ)ი: არ არის მითითებული

პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში", მეშვიდე დონე)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის მითითებული

რჩევ(ებ)ი: არ არის მითითებული

პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში", მეშვიდე დონე)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის მითითებული

რჩევ(ებ)ი: არ არის მითითებული

შეფასება

| კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| --- | --- | --- | --- | --- |
| პროგრამა 1 ("საჯარო პოლიტიკა და მმართველობა", სამაგისტრო პროგრამა, მეშვიდე დონე) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში", მეშვიდე დონე) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა | X | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მენეჯმენტში", მეშვიდე დონე) | | | | |

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო,
მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

პროგრამის განვითარებისა და სერვისის გაუმჯობესებისთვის, ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების პროცესი მოიცავს შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებს. გამოკითხვები პერსონალთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან წარმოადგენს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის განხორციელების ცენტრალურ ინსტრუმენტებს. ყოველი სავალდებულო კურსის დასრულების შემდეგ, სტუდენტები აფასებენ კურსს, კურსის შეფასების ფორმის შევსებით, საჭიროების შემთხვევაში ასევე ორგანიზდება ფოკუს ჯგუფები. სამაგისტრო საფეხურის სტუდენტები ასევე აფასებენ კვლევითი კომპონენტის განხორციელებას და სამეცნიერო ხელმძღვანელობას.

კმაყოფილებისა და საჭიროებების შეფასებითი გამოკითხვები გამოიყენება პრიორიტეტებისა და გასაუმჯობესებული მხარეების გამოსავლენად, რათა უზრუნველყოფილი იყოს ეფექტური მონიტორინგის პროცესი. შეფასების პროცესის შედეგები ვრცელდება პროგრამის გუნდში და გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისათვის. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ დანერგა საუდიტორიო დაკვირვების პრაქტიკა, როდესაც შეფასებები ტარდება კოლეგების, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების მიერ წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობითა და პროცედურით. კოლეგიალური დასწრების გუნდი ამზადებს ურთიერთდასწრების განრიგს და სწავლა-სწავლების შეფასების კრიტერიუმებს/ინდიკატორებს, რომელთა მეშვეობითაც ფასდება ლექცია/პრაქტიკული მეცადინეობა.

ყოველი სემესტრის ბოლოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს სტუდენტების აკადემიურ მოსწრებას და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია შეფასების შედეგებს იყენებს სასწავლო პროცესების გასაუმჯობესებლად. საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს პროგრამის ეფექტიანობის შეფასების პრაქტიკა - უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული შიდა თვითშეფასება. პროცესი მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიშის მომზადებას, რომლის მიზანია ძლიერი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი სფეროების იდენტიფიცირება. პროგრამების პერიოდული თვითშეფასება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, სტუდენტთა სემესტრული გამოკითხვა კურსების/პროგრამის კომპონენტების შესახებ, პროგრამაში ჩართული მოწვეული და აკადემიური პერსონალის შეფასება

სტუდენტთა გამოკითხვების საფუძველზე და დამსაქმებლებისა და გარე ექსპერტების შეფასებები. უწყვეტი განვითარებისა და ტენდენციების გამოვლენის მიზნით, ანგარიშები ფასდება დინამიკაში, თვითშეფასების პროცესის შედეგები შედარებულია თითოეული შემდგომი ანგარიშგების პერიოდთან. შეფასება ორიენტირებულია გადახრების მიზეზების (არსებობის შემთხვევაში) გამოვლენასა და მათი აღმოფხვრის ღონისძიებების განხორციელებაზე - პროგრამის და/ან კურსის ფარგლებში გარკვეული ცვლილებების განხორციელება; სწავლებისა და სწავლის მეთოდების მოდიფიცირება; სასწავლო კურსის სილაბუსში გამოყენებული შეფასების მეთოდების ოპტიმიზაცია; სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული ლიტერატურის შეცვლა; სასწავლო კურსის წინაპირობების დადგენა/შეცვლა და სხვა.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 ("საჯარო პოლიტიკა და მმართველობა", სამაგისტრო პროგრამა, მეშვიდე დონე)**

საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის სამაგისტრო პროგრამა შედარდა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოქმედ სხვა პროგრამებთან თანამედროვე გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით. მსგავსი პროგრამებია შემდეგ უნივერსიტეტებში: წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, წმინდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი. ანალიზმა აჩვენა ნაწილობრივი თანხვედრა საქართველოში აკრედიტებულ მსგავს პროგრამებთან, განსაკუთრებით ძირითად და არჩევით კურსებთან მიმართებაში.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში", მეშვიდე დონე)** ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში სარგებლობს ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების პრაქტიკით, რაც ხელს უწყობს პროგრამის ინდივიდუალიზმს, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას და ქმნის პლატფორმას პროგრამის პერსონალსა და ადგილობრივ/საერთაშორისო კოლეგებს შორის თანამშრომლობითი დამოკიდებულებისთვის. პროგრამა შედარდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის, SDA ბოკონის მენეჯმენტის სკოლის, HEC Paris INSEAD-ის, MIT სლოანის, ლონდონის ბიზნეს სკოლის, ლუქსემბურგის ბიზნეს სკოლის მსგავს ან მონათესავე პროგრამებს.

პროგრამა ითვალისწინებს არსებულ ადგილობრივ და საერთაშორისო ტენდენციებსა და პრაქტიკას, და მაინც, პროგრამის ინდივიდუალიზმი ასევე დასტურდება წარმოდგენილი ანალიზით, განსაკუთრებით შინაარსისა და სწავლა-სწავლების მეთოდებთან მიმართებაში.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში", მეშვიდე დონე)** ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში სარგებლობს ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების პრაქტიკით, რაც ხელს უწყობს პროგრამის ინდივიდუალიზმს, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას და ქმნის პლატფორმას პროგრამის პერსონალსა და ადგილობრივ/საერთაშორისო კოლეგებს შორის თანამშრომლობითი დამოკიდებულებისთვის. პროგრამა შედარდა კავკასიის უნივერსიტეტის, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის, საქართველოს უნივერსიტეტის, უორტონის, პენსილვანიის უნივერსიტეტის, ჩიკაგოს ბუთის ბიზნეს სკოლის, კოლუმბიის ბიზნეს სკოლის, MIT-ის, სლოანის მენეჯმენტის სკოლის, ლონდონის ბიზნეს სკოლის, ნორთვესტერნ კელოგის, HEC პარიზის, ვირჯინიის უნივერსიტეტის, დარდენის ბიზნეს სკოლის, მელბურნის უნივერსიტეტის, ტორონტოს უნივერსიტეტის, ედინბურგის უნივერსიტეტის, ESADE-ის, რამონ ლულის უნივერსიტეტის მსგავს ან მონათესავე პროგრამებს.

პროგრამა ითვალისწინებს არსებულ ადგილობრივ და საერთაშორისო ტენდენციებსა და პრაქტიკას, და მაინც, პროგრამის ინდივიდუალიზმი ასევე დასტურდება წარმოდგენილი ანალიზით, განსაკუთრებით შინაარსისა და სწავლა-სწავლების მეთოდებთან მიმართებაში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესები და პროცედურები;
- ანალოგური პროგრამების ანალიზი;
- გამოკითხვის ფორმები და შედეგები;
- გასაუბრების შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** არ არის მითითებული

**კლასტერის საერთო რჩევები:** არ არის მითითებული

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული**

**პროგრამა 1 ("საჯარო პოლიტიკა და მმართველობა", სამაგისტრო პროგრამა, მეშვიდე დონე)**

**რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის მითითებული**

**რჩევ(ებ)ი: არ არის მითითებული**

პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში", მეშვიდე დონე)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის მითითებული

რჩევ(ებ)ი: არ არის მითითებული

პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში", მეშვიდე დონე)

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის მითითებული

რჩევ(ებ)ი: არ არის მითითებული

შეფასება

| კომპონენტი 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში ი მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 ("საჯარო პოლიტიკა და მმართველობა", სამაგისტრო პროგრამა, მეშვიდე დონე) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში", მეშვიდე დონე) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 ("ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში", მეშვიდე დონე) | X | ☐ | ☐ | ☐ |

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (საჯარო პოლიტიკა და მმართველობა, სამაგისტრო პროგრამა, საფეხური 7) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში, საფეხური 7) | X | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში, საფეხური 7) | X | ☐ | ☐ | ☐ |

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):
არ ეხება
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს "ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში"

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდება, საფეხურები:
პროგრამა 1, საჯარო პოლიტიკა და მმართველობა, სამაგისტრო პროგრამა, საფეხური 7
პროგრამა 2, ბიზნესის ადმინისტრირება აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში, საფეხური 7
პროგრამა 3, ბიზნესის ადმინისტრირება აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში, საფეხური 7

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| შინაარსი<br><br>სტანდარტი | 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები |
|---|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (საჯარო პოლიტიკა და მმართველობა, სამაგისტრო პროგრამა, საფეხური 7) | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| პროგრამა 2 (ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა ფინანსებში, საფეხური 7) | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| პროგრამა 3 (ბიზნესის ადმინისტრირების აღმასრულებელი სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში, საფეხური 7) | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

**ხელმოწერები**

**ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე**

**მუჰამედ აბდულ რაუფი**

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

**ეკა ლეკაშვილი**

[თეა კასრაძე]

[თამარ ბერიშვილი]

[თამთა ცხოვრებაძე]

[ია ბუცხრიკიძე]